

ივერია

ვასი ნომრისა № კაპეიკა

საქართველო
საბჭოთაო რევოლუციისათვის

№ 19
კვირა, 9 ივლისი

უძველესი კვირული გაზეთი

ფასი წლის დამლევამდის 3 მან.; სუთი თვით 2 მან. 1877--1906 ადრესი: ცფილისი, ფრეილინის ქ., № 5. ცფილევ. № 922.

სარჩმნი:—რუს გოლიციელების „რუსული პოლიტიკა“ და ქართველ სოც.-დემოკრატების ტაქტიკა, ფ. გოგინიშვილისა. —ქუთაისის გუბერნიის დემუტატოზ არჩევნების გამო, ქუთათურისა. —ქართველი თავად-აზნაურობა და ვლენობა, მეგობრისა. —მატარა ფიქრები, ალისა. —მუშათა პარტია ავსტრალიაში, ურაველისა. —აგარული ხაკითხი, —ლისა. —კურკას ქორწილი, (დასარული) მ. ადამაშვილისა.

რუს პოლიტიკის „რუსული პოლიტიკა“ და მართლმ სოც.-დემოკრატების ტაქტიკა

ამ რამდენიმე დღის წინად რუსულ ენაზე დაიბეჭდა ერთი ბატარა წიგნი, რომელსაც სათაურად „Оглянемся назад!“ აწერია. წიგნი ბ-ნ ნ. ნიკოლაძესთან საბოლმეიკოდ არის დაწერილი და ეკუთვნის ბ-ნ ყარბის კალამს*). ბ-ნი ყარბი ნამდვილი „მებრძოლი“ პუბლიცისტია; იგი უფრო „მხვლიტე-ხობას“ ეტანება, განსაკუთრებით ქალაქის თავებს—ხან ტვილი-სისას და ხან ფოთისას—უწევს პოლემიკას, მაგრამ ხსენებულ წიგნში ვაკვრით ჩვენც არ დაუფიწყნივართ და თავისი ბასრი კრიტიკის ბრკელები ჩვენთვისაც გაუკრავს. სამწუხაროდ, ავტორს, რომელიც, ეტყობა, ძალიან დარწმუნებულია თავის კრიტიკის ძლევამოსილობაში, არ მოუსურვებია შრომა მიეღო და წაეკითხა „ივერიის“ ის წერილი, რომლის გამო ჩვენს სა-არაკო ჩამორჩენილობას ქვეყანას ამცნევს, და საქმარისად დაუნახავს მართლადენ „ზეპირის გარდმოცემით“ დააკმაყოფილოს თავისი მკითხველი. საჭიროდ მიგვაჩნია, ის სტრიქონები ბ-ნ ყარბის ნაწერისა, რომელიც ჩვენ შეგვგვება, ჩვენს მკითხველსაც გავაცნოთ, —რასაკვირველია, არა იმ მოსაზრებით, რომ ვითომ გენდლოდეს, ბ-ნ ყარბს უეჭველად პასუხი გავცეთ და ლიტერატურული სიყალბე გავუსწოროთ. მართლ ეგ რომ იყოს, მაშინ, შეიძლება. სულაც ხმა არ ამოგვეღო ბ-ნ ყარბის „კრიტიკის“ შესახებ, მაგრამ საქმე ის არის, რომ თვით ის საგანი, რომელსაც ხსენებული ავტორი ეხება ვაკვრით, თავის თავად ფრიად მნიშვნელოვანია და ღირს კიდევ მასზე ჭურადლების მიქცევა. ბ-ნი ყარბი მიმართულებით სოც.-დემოკრატი ვახლავთ და მკითხველი კონკრეტულ მაგალითით დაინახავს, თუ როგორ უტყვირის ჩვენი სოციალ-პოლიტიკურ მდგომარეობის ერთ-ერთ უტყურადლებო მოვლენას ჩვენებური სოციალდემოკრატია.

ბ-ნი ყარბი სწერს (გვ. 12—13):

„პოლიტიკური იდეა იმ ქვეყნისა, რომელიც ბატონ-ყმურ ურთიერთობის ნიადაგზე აღიზარდა, გამოიხატებოდა და გამოიხატება იმაში, რომ მთელ წესწყობილების თავს შეადგენს ბიუროკრატია, რომელიც განაგებს ყველა საზოგადოებრივ სა-

კირობათ დააკმაყოფილებს მათ იმდენად, რამდენად იგი ამ საკირობათ სტნობს კანონიერად. ასე განსაზღვრავს ბ. ბელტოვი რუსეთის საზოგადოების პსიხოლოგიას, მაგრამ ასეთი განსაზღვრა საუცხოვოდ შეეფერება ჩვენს ძველ ინტელიგენციასაც. ამ ინტელიგენციას, რომელიც ბატონ-ყმურს ნიადაგზე აღიზარდა, სწამდა, რომ ქვეყნის წესწყობილების მოაზრე გოგრა არის ბიუროკრატია. აქედან ადვილი გასაგებაა, რომ ჩვენი მამები დიდად აფასებდენ და აფასებენ ბიუროკრატის, მისგან ელოდენ და დღესაც ელოდებიან ქართველ ხალხის წყლულთა განკურნავს. მათის აზრით, საჭიროა მხოლოდ ისე მოვიქცეთ, რომ ბიუროკრატია დარწმუნდეს,—ჩვენ, ქართველები, კარგი ხალხი ვართ: კანონიერობის მომხრე, მოსიყვარულე, პურმა-რილისა და სტუმართ მოყვარე... ასეთ პოლიტიკას ემხრობოდენ ჩვენი მამები რუს ჩინოვნიკის მიმართ, მაგრამ თუ ეს ჩინოვნიკი ქართველი იქნებოდა,—მაშინ ხომ სულ უკეთესი. ყველაზე უფრო სასურველია,—ამბობდენ ისინი,—რომ ჩვენში უმადლეს თანამდებობის ადგილებზე ქართველებს ნიშნავდენო. ამ გულუბრყვილო პოლიტიკამ იმ ზომამდე მოიცვა ჩვენი ჭკუა-გონება, რომ ჩვენ დღესაც ვერ განთავისუფლებულვართ მის ვაგლენისაგან. შორს არ მოგვიხდება მაგალითების ძებნა. ამას წინად განახლებული „ივერია“ შეთაურ წერილში სიხარულით მიეგება თავ. ამილახვრის დანიშვნას ბაქოს გენერალ-გუბერნატორად.

„—დიდი ხანია დრო იყო! აქამდისაც უნდა ეძლიათ ასეთი მაღალ თანამდებობის ადგილები ჩვენიანებისათვის!—აღტაცებით იძახდა ვახეთი, რომელსაც დაავიწყდა, რომ ჩინოვნიკისთვის ჩვენიან-თქვენიანობა არ არსებობს, რომ იგი უწინარეს იმ ინსტრუქციის აღმასრულებელია, რომელსაც მას აძლევენ ზემოდან.“

აი, ეს ვახლავთ ბ-ნ ყარბის „კრიტიკა“. როგორც ხედავთ, ჩვენი პოლიტიკური სიბეცე მართლაც დიდი ყოფილა. ჩვენ, თურმე, ბიუროკრატია მიგვაჩნია ბედნიერების მომნიჭებელ დაწესებულებად და ამიტომ „სიხარულით და აღტაცებით მიგვეგებეთ თავ. ამილახვრის დანიშვნას ბაქოს გენერალ-გუბერნატორად“ და ვერ მივხვდით—დახეთ ჩვენს სიბეცეს!—რომ ყოველი ჩინოვნიკი უმადლეს მთავრობის „ინსტრუქციის აღმასრულებელია“. აბა ვინ იტყვის ამას დღეს სხვა, თუ არა პოლიტიკურად ბეცი ადამიანი, და ჩვენც საჯაროდ გამოვაცხადებდით ჩვენს პოლიტიკურ უსუსურობას და თვითონვე ხელს მოვაწერდით საკუთარს სიბეცეზე, რომ... რომ ბ-ნ ყარბის ნაამბობი სიმართლეს შეიცავდეს და, რასაც იგი ჩვენს ნათქვამად გადმოგვცემს, მართლა ჩვენი ნათქვამი ან დაწერილი იყოს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ყველაფერი, რაც აქ ბ-ნმა ყარბმა რიხიანად გვაქმნო, თავიდან ბოლომდის მის მიერვე შეთხზული და მოკრატებულია, რაც რასაკვირ-

*) ყარბი პსევდონომია ბ-ნ პეტრე გელეიშვილისა (თავის პსევდონომის მანვე აწახდა ფარდა).

ველია, მოწმობს მხოლოდ ავტორის დიდ სიღარბასილეს და კეთილ-სინდისიერობას.

რათა შეუძლებელი შეიქნეს ყოველივე ექვი, ჩვენ ხავსებით მოგვყავს „ივერიის“ მაშინდელი წერილი, რომელიც მკითხველს დაანახებებს, რა თუ ფასისაა ბ-ნ ყარბის „კრიტიკა“.

25 თებერვალს 1905 წ. „ივერია“ სწერდა:

ჩვენი საზოგადოება, ალბად, ჯერ კიდევ სცესებით არ დამწვიდებულა იმ საშინელ სისხლის ღვრის გამო, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში მოხდა ქალაქ ბაქოში. ყველა, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, ააშფოთა იმ ბარბაროსობამ, რომელმაც უცებ იფეთქა ბაქოში და მრავალი თათარი და სომეხი იმსხვერპლა: მთელი საზოგადოება შეძრწუნებული იყო და არ იცოდა, რა ხერხისათვის მიე მარბნა და ეს სამარცხენო სისხლის ღვრა როგორმე მოესპო. რამდენისამე დღის შემდეგ ხალხის ხოცვა-ჟლეტა შესწყდა, მაგრამ ერთხანს კიდევ არავინ იყო დარწმუნებული, რომ ეს შერიგება დროებითი არ იქნებოდა და მალე უარესი ამბები არ მოხდებოდა... კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ იწყო ადგილობრივ ისეთი კაცის ძებნა, რომელსაც შესძლებოდა თავის პირადის გავლენით ხალხის დაშოშმინება და დაწყნარება. ასეთ კაცად მან სწრა თავ. ი. გ. ამილახვარი, რომელიც გაიგზავნა ბაქოში და მალე ბაქოს გენერალ-გუბერნატორადაც იქნა დანიშნული.

ჩვენ არ შეგვიძლია გამოგვაცეთ ამის გამოკვლევას, თუ რამდენად მძიმე და რთული პირობებია ბაქოს ხალხის ცხოვრებაში და რა ზომამდის შესაძლებელი იქნება თავ. ი. გ. ამილახვარისთვის განახლებისა და გაუმჯობესების მოხდენა იქაურ ეროვნულ ურთიერთობაში.

თავ. ამილახვარის ბაქოში გაგზავნა და გუბერნიის მთავარ უფროსად დანიშვნა ჩვენ ძალა-უნებურად გვიღვიძებს სულ სხვა ფიქრებს, რომელთა მკითხველისათვის გაზიარება საქიროდ დაინახეთ.

ყველას უსიამოვნოდ გვეჩხირება თვალში ერთი გარემოება, რომელიც ჩვენი ქვეყნის მართვა გამგეობის „პოლიტიკაშია“ გამეფებული. ეს გარემოებაა სახელმწიფო სამსახურში ქართველ ელემენტების სისტემითური შემცილება და, მის ნაცვლად, რუს მოხელეთა გამრავლება. თითქოს ქართველ ერს რაღაც მიუტევებელი დანაშაულობა ჩაედინოსო, მთავრობა ყოველთვის უკეტავდა ქართველს სახელმწიფო დაწესებულებათა კარებს და არ სთვლიდა შესაძლებელად, რომ მას, ვითარცა საზოგადო კანონების მორჩილ მოხელეს, მონაწილეობა მიეღო ქვეყნის მართვა გამგეობის საქმეებში. რომ ხელში აიღოთ რამოდენისამე წლის „კავკასიის კალენდარი“ და დასთვალეთ რიცხვი კავკასიაში გამწესებულ მოხელეებისა, ცხადად დაინახავთ, რომ ქართველ მოხელეთა რიცხვი შედარებით ყოველ წელიწადს მცირდება, ხოლო რუსთა რაოდენობა ასევე ყოველ წელიწადს მრავლდება. ამასთან ქართველს ყოველთვის შედარებით მცირე თანამდებობა ეძლევა, ხოლო დიდი და გავლენიანი ადგილები „ძირითად“ რუსებისათვის არის შემონახული...

ჩვენ, რასაკარგულა, ხალხსათვის ბეჯახურებად არ ნაკგანია ეხლნადლების მსგავს ბაჟრფარატების გამრავლება და „ჩინოვანაჟუნ“ რეჟიმის გამოქვეყნება. მაგრამ ეს საზოგადო მართვა-გამგეობის საკითხია და ამიტომ აწინადე წესის დაწესება არ გვაგადებს ღადაგურად ხსენებულ „ზოლიტიკის“ უურადადებოდ დატოვებას და უმნიშვნელოდ გა-

მაცხადებას. რა ნაირად უნდა იყოს ფერმა სხელები ფეს-წეობალებისა, მახლეკება—როგორა, ეს სხვა სხვანია, —მართვა-გამგეობის საქმეში აურადებლად საჭირონი არიან და ამიტომ ერთი კნას ათვალწუება და მისა შეადეების სისტემატიკურად გამოავენს სახელმწიფო დაწესებულებებიდან—დადაც მნიშვნელოვან და უურადებობის დანსია.

რა დააშავა ქართველობა, რომ მას „სამსახურის“ ასპარეზი დახურული აქვს? განა ქართველებში არ არიან იურისტები, ექიმები, ფილოლოგები, ისტორიკოსები, არ ათავებენ ქართველი ახალგაზდები რუსულ უნივერსიტეტებს, არ იღებენ რუსულ განათლებას? რატომ არ შეუძლია ამ რუსულ წესზე აღზრდილ ხალხს, რომელსაც ისეთივე სწავლანათლება მიუღია, როგორც მაგალითად, მოსკოველსა ან ორლოველს, რატომ არ შეუძლია, —ვითხულობთ ჩვენ, — ალაგი დიკავოს ადგილობრივ მართვა-გამგეობის ასპარეზზე და მონაწილეობა მიიღოს საგამგებლო საქმეების შესრულებაში? განა ქართველი უკედ არ იცნობს თავის სამშობლოს, ვიდრე ათასი ვერსის სიშორიდან მოსული კაცი, რომელსაც, იქნება ისიც-კი უძნელდება, რომ საგოგრაფიო რუკაზე იპოვოს, სად არის საქართველო და „კავკასი“-ი ვითომ, რატომ არ უნდა შეეძლოს ქართველს მასწავლებლობა, ექიმობა, მოსამართლობა, გამომძიებლობა? ნუ თუ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ეროვნებით ქართველია და მისი გვარის დაბოლოება ან ქართული ლაპარაკი—და ისიც მალულად!—ხელს შეუშლის აქაურ ადგილისა და ხალხის „გარუსებას“? განა მოხელეებისთვის მისაცემ ჯამაგირებს ადგილობრივ ხალხს არ ახდევინებენ, განა ეს ფული, რომელსაც ყოველ თვის 20 რიცხვს იხზრიალებს ჯიბეში ბ-ნი „ჩინოვნიკი“, აქაურ ხალხის ოფლით არაა მოპოვებული? და თუ ეს ფული, —ძალითა თუ ნებით, —უნდა გადაიხადოთ, განა უსამართლობა იქნება ქართველ კაცსვე ხედეს და მისი შვილების გაზრდას მოხმარდეს? თ-დ ამილახვარს მისცეს ხსენებული თანამდებობა იმ დროს, როცა, მთავრობის აზრით, მხოლოდ მას შეეძლო საუკეთესო სამსახურის გაწევა. აქ აღარ იყო არჩევანი, —ამას, იმავე მთავრობის აზრით, გარემოება თხოულობდა. მაგრამ როგორ არის საქმე, როცა ასეთი „კრიტიკული“ დრო არაა და შესაძლებელია „შერჩევა“? სცნობენ მაშინ ქართველის უფლებასა და ადამიანობას?

„სამწუხაროდ, —არა... და აი, სწორედ ამ გარემოებაზე გვენდოდა ჩვენ დღეს მკითხველის ყურადღება მიგვექცია“...

აი, ასეთის „ალტაცებით“ შეეგება „ივერია“ თავ. ამილახვარის დანიშვნას ბაქოს გენერალ-გუბერნატორად და ეს იმ დროს, როცა ცენზურა არსებობდა და გუბერნატორებზე ეზოპისებურ ქარაგებით წერაც კი არ შეიძლებოდა. საკმარისი იყო, რომელიმე გუბერნატორის ნიქში ექვი შეგეტანათ, რომ მეორე დღეს გაზეთს სიცოცხლეს გამოასალმებდენ. მიუხედავად ამისა, ამოწერილ მეთაურის ავტორმა მაინც მოახერხა და წერილში სამ ადგილას აღნიშნა, რომ თავ. ამილახვარი მხოლოდ „მთავრობის აზრით“ იყო თვის თანამდებობისათვის შესაფერი, ხოლო თავის მხრივ მოხერხებულად აუარა გვერდი სახიფათო პირდაპირ დაფასებას და ამით აგრძნობინა მკითხველს თვისი შეხედულება; „ჩვენ არ შეგვიძლია გამოუღდგეთ იმის გამოკვეყნებას, თუ რაოდენად შესძლებს თავ. ამილახვარი“ ნაკისრბ საქმის გაძლოდასო. თითქოს ცხადია, თუ როგორ უკეტროდა ჩვენი გაზეთი თავ. ამილახვარის დანიშვნას. აქედან ცხადია ისიც, თუ როგორი „ამო-

წერა* სკოლნი ბ-ნ ყარბს, რომელსაც თავის ახირებულ ოცნების ნაყოფი სხვის ნათქვამად ეწვევება.

მაგრამ ბ-ნ ყარბის ახირებული ჩვეულება ციტატების „ზეზირად“ გადმოცემისა მკითხველისთვის საინტერესო არაა და ჩვენც ამას აღარ გამოუვლდებით. უფრო საინტერესოა ის დაცინვა, რომლითაც გვაჯილდოვებს ჩვენი ავტორი იმის გამო, რომ სახელმწიფო სამსახურის კარების დაკეტვა ქართველებისთვის ჩვენ ეროვნულ ჩავრად და უსამართლობად მიგვაჩნია. მას გონებრივ სიბნელეში მყოფად და შებრალების ღირსად მიაჩნია ყველა, ვინც საზოგადოდ ბიუროკრატიაზე უარყოფით არ ილაპარაკებს. მაგრამ ჩვენ უნდა გამოვტყდეთ ჩვენს ჩამორჩენილობაში და უნდა აღვიაროთ, რომ ამ შემთხვევაში დღესაც იმ აზრისა ვართ, როგორც შარშან, — რომ: „რანაირიც უნდა იყოს ფორმა სახელმწიფო წესწყობილებისა, მონეტები — როგორი, ეს სხვა საგანია, — მართვა-გამგეობის საქმეში აუცილებლად საჭირონი არიან და ამიტომ ერთი ერის ათვისება და მისი შეილების სისტემატიურად გამოდგენა სახელმწიფო დაწესებულებებიდან — დიდაც ყურადღების ღირსია.“

ჩვენ ვიცით ერთი საშუალება, რომელიც ბ-ნ ყარბს აიძულებს აქ ამონაწერის პირველ ნახევარში დაგვეთანხმოს. ეს საშუალებაა — მოწოდება კაუტსკისა, ფრიად საჭიროსი ჩვენებურ სოც.-დემოკრატებთან კამათის დროს. თანამედროვე საზოგადოებაში „არის — სწორს კაუტსკი, ხოლო სად, ეს თვით ბ-ნმა ყარბმა მონახოს: მოლაშ თავისი ყორანი უნდა იცოდეს, — არის ბევრი დაწესებულება, რომელიც დღეს კლასობრივ ბატონობის საშუალებას წარმოადგენენ, მაგრამ ამასთან ისეთ დანიშნულებასაც ასრულებენ, რაც, მახლობელ დროის განმავლობაში მაინც, ხდის მათ აუცილებლად. ასეთია, მაგალითად, ბიუროკრატია. იგი არის ერთი მთავარ იარაღადანი სახლხის შევიწროვებისა და, ვითარცა ასეთს, ჩვენ ვებრძვით მას. მაგრამ ამ დროში არც ერთ მომსხო სოციალურ ორგანიზმის მართვა-გამგეობა არ შეიძლება დილექტანტურად; ამისთვის საჭიროა ადმინისტრაცია, რომელსაც განსაზღვრული მომზადება მიუღია და თავის საქმეს შესწევია, საჭიროა ბიუროკრატია. სოციალ. ისტორი საზოგადოებაც ვერ შესძლებს უიმიოდ არსებობას. მხოლოდ საჭიროა ამ ბიუროკრატის ჩამოვაცალოთ ყველაფერი, რაც ჰქმნის მას ხალხზე მაღლა მდგომ განცალკევებულ კლასად, საჭიროა წავართვათ მას ყველა პრივილეგიები, უპარატესობანი და გავხადოთ იგი არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით მოსამსახურედ ხალხისა, რომელიც უნდა ირჩევდეს და ითხოვდეს სამსახურიდან მას საერთოდ ან მის მეთაურებს მაინც; საჭიროა ადგილობრივ თვითმართველობის განვითარება ცენტრალისტურ მთავრობის ძალის შესასუსტებლად“...

ამას ამბობს კაუტსკი. დალოცა ღმერთმა, — თავის მოწმობით ბ-ნ ყარბთან საქმე გავვიადვილა.

მაგრამ ასევე ადვილი საქმე არაა ბ-ნ ყარბის დარწმუნება იმაში, რომ სახელმწიფო სამსახურიდან ქართველ ელემენტის გამოდგენა ეროვნულ ჩავრას მოასწავებს და ამას ჩვენთვის, ქართველებისთვის, თვალსაჩინო სოციალური მნიშვნელობა აქვს. რასაკვირველია, ბ-ნმა ყარბმაც კარგად იცის რომ მთელი საუკუნის განმავლობაში რუსეთის მთავრობა ჩვენს — ვითარცა არა-რუს ეროვნების — შესახებ მუდამ იმის ცდაში იყო, რომ გადაეგვარებინეთ ეროვნულად. ეს მისი ცდა გამოიხატებოდა ყველაფერში და, სხვათა

შორის, გამოიხატებოდა რუს ჩინოვიციების ქვეყნულულებაშია. გოლიციანები და მისი მსგავსნი ქართველებს ქვეყნულ ვით ერეკებოდენ ყველა სახელმწიფო დაწესებულებებიდან, და დღეს ვხედავთ, რომ ყველგან ჩვენში რუსები შეადგენენ ჩინოვიციების დიდხალ უმრავლესობას. მაგრამ ამ გარემოებას ბ-ნი ყარბი არავითარ „ქართულ“ მნიშვნელობას არ აძლევს. მისი აზრით, ჩინოვიცი სულ ერთია, ვინც უნდა იყოს, — „უმალღეს მთავრობის ინსტრუქციის აღმასრულებელია“ და გვარტომობას არავითარი სოციალური ფასი არა აქვს.

ასე ფიქრობს ბ-ნი ყარბი, მაგრამ ასე ვერ იფიქრებენ თვით ისინი, ვინც აღნიშნულ ეროვნულ დევნის გამო ადგილსა და ლუკმა პურს ვერ შოულობენ. ახლანდელ წესწყობილებებში ბიუროკრატია ხალხის დამჩავრელია, მაგრამ ჩვენში ამ ჩავრას ზედ ერთვის მერვე ჩავვრაც, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ, ქართველებისთვის სახელმწიფო სამსახურის კარების დახშვის გამო, ჩვენს საზოგადოებას რამდენიმე მშვიერ-მწყურვალი ემატება. გადახედეთ კავკასიის სასწავლებლების სტატისტიკას და დარწმუნდებით, რომ იმათში რუს მოსწავლეთა რიცხვი შედარებით რამდენჯერმე აღემატება ქართველებისას. რა არის მიზეზი? მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩვენში ჩამოსული რუსობა უმთავრესად ჩინოვიციობაა, ცხოვრობს ქალაქებში, იღებს ხალხის ქონებიდან აკრებილ ჯამაგირებს და ამიტომ ადვილად ზრდის თავის შეილებს სასწავლებლებში. ადგილობრივ სახელმწიფო დაწესებულებებში ქართველ „ტუზმცისთვის“ დატოვებულია გადამწერის თანამდებობა, 15—20 მანათიანი ადგილები, სადაც მომუშავე პურისთვისაც საკმაო გასამრჯელოს ვერ იღებს, არა თუ შეილები გამოზარდოს და კულტურულ ცხოვრებისა რამ იგემოს.

ეს „რუსული პოლიტიკა“ მწვავედ საგრძნობია გონებრივ შრომის პროფესიის ქართველობისთვის განსაკუთრებით იმის გამო, რომ ჩვენში ვაჭრობა-მრეწველობა განუვითარებელია და, რაც არის, ისიც არა ქართველთა ხელშია და ამიტომ პროლეტარ ინტელიგენტებისთვის კერძო სამსახურიც ძალიან ძნელი საშოვნელია.

ასეთია ჩვენი მდგომარეობა. იგი ცხადზე უცხადესია და ამიტომ თითქოს ყველასთვის ადვილი დასანახი უნდა იყოს. მაგრამ ბ. ყარბი და მისი ამხანაგები, რაღაც მიზეზით, მაინც ვერ ხედავენ და განაგრძობენ საანბანო ლათიებს ბიუროკრატისა და თვითმპყრობელობის ვერაგობაზე. გავიკეთ ეს, ბრძენო ბატონებო, დიდი ხანია გავიკეთ, მხოლოდ თქვენ ეს გვიბრძანეთ: სასწავლებლებში რომ ხალხი სწავლობს, იმათ ცხოვრებაში ალაგი და ლუკმა-პური სჭირიათ, თუ არა? და თუ სჭირიათ, რად უნდა ჰქონდეთ მათ რუსებზე ნაკლები უფლება თუნდსახელმწიფო სამსახურში ადგლის მიღებისა? ნეტა რომელ სოც.-დემოკრატულ პრინციპის ძალით მოიპოვეს რუსებმა ჩვენში ჩინოვიციობის მონაპოლია?! განა ეკონომიურ ცხოვრების განვითარება ცოტა პროლეტარს ჰმატებს ქართველ ერს, რომ მას ესაჭიროებოდეს მათი გამრავლება ხელოვნურად, მთავრობის „რუსულ პოლიტიკითაც“?!

ბ-ნმა ყარბმა იქნებ, იმით გვანუგემოს, რომ პროლეტარიატი ოდესმე სოციალ. ხმს განახორციელებსო. შეპარი მის პირს! მაგრამ მანამდის? ძველად თურმე პეტრეს მოსვლამდის პავლეს აძრობდენ ტყავს; ახლა კი ისეთი დროა, რომ პავლეს მოსვლამდის ხშირად პეტრეს გასძვრება ხოლმე ტყავი...

ფ. გოგიჩაიშვილი.

მთაიანის მუშაკების დამატებითი პრინციპების გამო

მთელ რუსეთის იმპერიაში გათავდა საპარლამენტო არჩევნები, მხოლოდ ისეთი შედეგი მათ არსად არ ჰქონია, როგორც ჩვენში ჰქონდა, სახელდობრ, რომ საესებით სოციალ-დემოკრატიულ პარტიას გაემარჯვოს. მართალია, როდესაც რუსეთის სხვა კუთხეში არჩევნები სწარმოებდა, ს.დემოკრატები ბოიკოტს უცხადებდნენ სათათბიროს და არჩევნებში მონაწილეობას არ იღებდნენ, მაგრამ ძალიან სავიკოა, — ბოიკოტიც რომ ახსნილი ჰქონოდათ, — ქუთაისისებურად კიდევ სადმე სხვაგან გაემარჯვათ.

რით ახსნება ასეთი ბრწყინვალე გამარჯვება სოციალ-დემოკრატებისა?

თუ არჩევნების შედეგის თაობაზე ისეთ ადამიანს დაეკითხებით, რომელსაც არავითარი წარმოდგენა არა აქვს ქუთაისის გუბერნიაზე, ვაბედულად გიპასუხებთ: უსათუოდ თქვენი გუბერნია ფაბრიკა-ქარხნებით დაქსაქსულია და მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი ამ ფაბრიკა-ქარხნებში და მალარობებში შოულობს საზრდოს, პოლიტიკურად მომწიფებული ყოფილა და სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება შეთვისებული ჰქონია. თუ თქვენ აუხსნით მას, რომ ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი ჩვენში ძალიან მცირეა და მცხოვრებთა 80⁰/10 მინც წვრილ მეურნეობას მისდევს, მობაასე სახტად დარჩება. როდესაც ამასთანავე შეიტყობს, რომ გუბერნია დასახლებულია დამონებულ ერთი, რომელიც, ეკონომიურ და პოლიტიკურ უკიდურეს გაჭირვებასთან ერთად, განიცდის ეროვნულ შევიწროებას და დამცირებას, და რომ ქართველი ს.დემოკრატები, ვითომ როგორც ნამდვილი „მართლმორწმუნენი“, ამ უკანასკნელ გარემოებას არ აქცევენ ყურადღებას, თქვენნი მობაასის განცვიფრება ერთი ორად იმატებს.

და ეს განცვიფრება მისი მხრით სრულიად გულწრფელი და ბუნებრივი იქნება, მართლაც, სამრეწველო პროლეტარიატის პარტიის გამარჯვება ისეთ მხარეში, სადაც მრეწველობა სრულიად განუვითარებელია და სამრეწველო პროლეტარები, ასე ვთქვათ, თითებზე დაითვლება, უეჭველად გააკვირვებს და გააოცებს ისეთ კაცს, რომელიც დაახლოვებით არ იცნობს ჩვენი ხალხის ცხოვრებას, მის თავისებურობას. არა საფაბრიკო მრეწველობისა და კაპიტალისტურ წარმოების დიდი გინვითარება, არამედ ცხოვრების სხვა პირობები არის მიზეზი არჩევნებში გამარჯვებისა.

როგორც ყველამ ვიცით, ჩვენი სოფელი ღვთის ანბარად იყო გაშვებული. არავითარი დაწესებულება არ არსებობდა მთელ საქართველოში, რომელიც სოფლის მცხოვრებთა პირ-ვარამით ყოფილიყო დანტერესებული. სოფლის ხალხის ძარცვა-გლეჯაში ვარჯიშობდა ვრი, ბერი, მღვდელი და დიაკვანი, პოლიცია და მოხელე, შინაური და გარეშე, აზნაური და ვაჟარი. ერთი სიტყვით, გლეხი იყო ის დაბალი ღობე, რომელსაც თელავდა გამვლელი და გამოვლელი. ათასში ერთხელ თუ გამოჩნდებოდა ადამიანი, რომელიც სოფლის რომელიმე გაჭირვებას მიაქცევდა ყურადღებას და დაეხმარებოდა ხალხს ან სკოლის გახსნაში ან სასოფლო დუქნის დაარსებაში, ან სოფლისავე ხარჯზე ექიმის დაქირავებაში. გაზეთის ფურცლები კი ივსებოდა მწარე გოდებით საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან: სოფელს სკოლა არ მოეგოვება, ს.ფელს გზები არ უვარგა, სოფლის მოხლეჩებმა აიკლეს მცხოვრებნი, სოფელი ვანადგურა სახადმა და სხვა. მუდამ ისმოდა განუწყვეტელი ჩივილი სოფლის და

ქალაქის ინტელიგენციისაგან გლეხების აუტანელ მძლავრობაზე, მაგრამ საქმეს ამით არავითარი მალაქა არ გამოდებოდა და, პირიქით, გაჭირვება თანდათან მატულობდა, — მიწის მუშა გლეხის ეკონომიური მგომარეობასთან თან და თან დაბლა ეცემოდა.

ჩვენებურ გლეხის უპირველეს გაჭირვებას შეადგენს სახანავ-სათესი მიწის სიმცირე, რის გამო გლეხობა სულ ერთპირად იძულებულია სახანავ-სათესი მიწა იჯარით აიღოს მემამულეთაგან. მოთხოვნილების გადიდების გამო მიწის იჯარის ფასი ყოველ წლობით მატულობს და მიძიმე ტვირთად აწევება გლეხობას. უფრო განუსაზღვრელი გაჭირვება მაშინ იგრძნო გლეხმა, როდესაც მამულის პატრონმა, მოსავლის ნაწილის მაგივრად, ფული მოსთხოვა. თუ უწინ მოუსავლიან წელაწადის ზარალს მამულის პატრონიც იზიარებდა, ამ ბოლო დროს მოუსავლობა მხოლოდ გლეხს ატყდებოდა თავზე, ვინაიდან მემამულე იჯარის ფულს უკლებლად ახდევინებდა მას.

მიწის სივიწროვემ და სიძვირემ დასავლეთ საქართველოში უფრო ადრე იჩინა თავი, ასე რომ აქაურ გლეხობის ნაწილი, რომელიც სახლში სამუშაოს ვერ შოულობდა, ადგილ-მამულის სივიწროვის გამო, იძულებული გახდა გარედ გასულიყო და თავისი სარჩო სხვაგან მოეძებნა. ეს გარედ გასულნი უმეტეს ნაწილად სოფელთან კავშირს არ სწყვეტდნენ: მუშაობის დროს გაჭირვებულად სცხოვრობდნენ იმ მიწნათ, რომ მეტი ფული შეეკრიბათ და ოჯახს დახმარებოდნენ. როდესაც კავკასიის მუშაა შორის სოციალ-დემოკრატიულმა ჯგუფმა იწყო მოქმედება, რასაკვირველია, ჩვენი მუშებიც არ ასცდენ მის გავლენას და, როგორც მკვირცხლი გონების მქონენი და წერა კითხვის მკოდენნი, შეგნებულ ელემენტს წარმოადგენდნენ. და დღეს შეიძლება ითქვას, რომ ქართველ მუშებს, — განსაკუთრებით გურიიდან და დასავლეთ იმერეთიდან, — პირველი ადგილი უჭირავთ მთელ კავკასიის მუშათა მოძრაობაში.

იმ გარემოებამ, რომ მცხოვრებთა ნაწილი, მიწის სივიწროვის გამო, იძულებული შეიქმნა სამუშაოდ დაბა-ქალაქებში გასულიყო, მისცა საბაბი ქართველ ახალგაზრდობის იმ ნაწილს, რომელიც მარქს-ენგელსის თეორიის მიმდევარი იყო, აღეარებია, რომ საქართველო კაპიტალიზმის გზას დაადგაო. ძველ ქართველ ინტელიგენციას არ მოეწონა ახალ პარტიის მოქმედება და ხშირად, სერიოზულ კამათის მაგივრად, პრესაში და ცხოვრებაში მის აბუჩად აგდებას ცდილობდა. სამაგიეროდ ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა მთელი ინტელიგენცია სულ ერთპირად ხალხის მძალდატეხ გამოაცხადა და ყოველ ღონეს ხმარობდა ხალხში მისთვის სახელი გაეტეხა. ჩვენი ბურჯები კი ყურსაც არ იბერტყავდნენ და დარწმუნებული იყვენ, რომ ხალხი მათ მხარეზედ იყო. სოციალ-დემოკრატები კი ყოველ ღონეს ხმარობდნენ ხალხთან დაახლოვებისათვის. რადგანაც ფაბრიკა-ქარხნები ჩვენში ნაკლებად მოიპოვება, სოციალ-დემოკრატები იძულებული იყვნენ მიექციათ ყურადღება ყველა იმათთვის, ვინც ქირაზე მუშაობდა, როგორც, მაგალითად, ნოქრები, ქარგლები, ხელზე მოსამსახურენი და სხვანი. ერთი სიტყვით, ვისთანაც ხელი მიუწვდებოდათ, ცდილობდნენ თავისი მოძღვრების მიმდევარი გაეხადათ. ეს მათი, რასაკვირველია, ფარული მუშაობა, თხოულობდა მათგან დიდ მსხვერპლს და ისინიც დიდის თავგანწირულებით ებრძოდნენ ყოველგვარ დაბრკოლებას. შრომას ტყუილად არ ჩაუვლია მათთვის და, როდესაც მოძ-

რაობა დაიწყო, მათ უკვე მზად ჰყავდათ შესამჩნევი რიცხვი ისეთ ახალგაზდებისა, რომელნიც გამოსადგენი იყვნენ აგიტატორების როლში.

ინტელიგენციის იმ ნაწილმა კი, რომელსაც არ აკმაყოფილებდა მარქს-ენგელსის თეორია, მხოლოდ სულ უკანასკნელ ხანებში შეადგინა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია. ამ ახალ სოციალისტურ პარტიას ორ ფორმტზე მოუხდა ბრძოლა: ერთი მხრით მისი წინააღმდეგი იყო და არის საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც სოციალიზმის არაფერი სწამს, და მეორე მხრით სოციალ-დემოკრატია, რომელიც არავითარ საშუალებას არ ერიდება ჩააგონოს ხალხს, რომ ყოველი პარტია, გარდა სოციალ-დემოკრატების, ბურჟუაზიის ინტერესების დამცველია და თუ სოციალისტურ პარტიის სახელს ატარებს, — ეს მხოლოდ ხალხის მოსატყუებლად. ამ აზრის დასამტკიცებლად შეძგევი მოსაზრება მოჰყავთ: ფედერალისტები ითხოვენ საქართველოს ავტონომიას, ამასვე თხოულობს ბურჟუაზია და თავად-აზნაურობა; მაშასადამე, ფედერალისტებიც ბურჟუაზიისა და ფეოდალების იდეოლოგები არიან. ფედერალისტები კი ასეთ მოსაზრებაზე სამართლიანად უპასუხებენ: რუსეთის „პატრიოტული“ ე. ი. ხულიგანური პარტია თქვენსავით ცენტრალიზმის მომხრეა, მისი თქვენც ხულიგანთა პარტიის იდეოლოგები ყოფილხართ!..

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ ვერც კი მოასწრო თავის იდეების პროპაგანდის დაწყება, რომ რევოლუცია დაიწყო, ასე რომ, როდესაც მოძრაობა აზვირთდა, ს.დემოკრატები უკვე დაახლოვებულნი იყვნენ სოფლის ხალხთან, ფედერალისტები კი მხოლოდ ემზადებოდნენ პრაქტიკულ მოქმედებისათვის. მართალია, პერიოდულ პრესის საშუალებით ფედერალისტები ამჟღავნებდნენ ს.დემოკრატების ისეთ მოქმედებას, რომელიც, მათის შეხედულებით, ეწინააღმდეგებოდა ხალხის ინტერესებს, მაგრამ ასეთი კრიტიკა თითქმის სრულიად ფუჭი იყო, ვინაიდან თვით სოფელში არ იყვნენ ისეთი პირები, რომელთაც აცხსნათ ხალხისათვის კრიტიკის სისწორე და სამართლიანობა.

ჩვენში მოძრაობა აგრარულ ნიადაგზე დაიწყო მაშინ, როდესაც რუსეთში არსად ბოლშევი არ იყო. პირველად ამ მოძრაობამ იფეთქა გურიის, დასავლეთ იმერეთში, სადაც მიწის სიფიწროვემ ისეთ აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენა ხალხი, რომ საჭირო იყო მხოლოდ ნაპერწყალი, რომ გლეხი „აბუნტებულყო“. ასეთ ნაპერწყალის როლის შესრულება თავს იდგა ადმინისტრაციამ, რომელმაც, გაფიცვების გამო, უსაქმოდ დარჩენილ მუშებს აუკრძალა ქალაქებში ცხოვრება და თავ-თავის სოფლებში დაგზავნა. ამ განკარგულების წყალობით გურიის და დასავლეთ იმერეთს მოაწყდა მრავალი მუშა, რომელნიც ამ დრომდის გარეთ ფულს შოულობდნენ და ოჯახს ზურგს უმაგრებდნენ. ეს შემთხვევა მემამულეთ აინუშვიციც არ მოსვლიათ და თითქო კმაყოფილნიც იყვნენ, ვინაიდან ამ უკანასკნელ გაქირვებითაც სარგებლობას აპირობდნენ, მაგრამ საქმე სხვა ნაირად დატრიალდა.. სახლში დაბრუნებული მუშები გაცნობილი იყვნენ ს.დემოკრატულ პროგრამას და გაფიცვებში დახელოვებული. ამასთანავე ულუქმაპურად დარჩენილი მასსა მშვენიერ ნიადაგს წარმოადგენდა სააგიტაციოდ. ს.დემოკრატებმაც მარჯვედ ისარგებლეს ამ გარემოებით და დიდის ენერგიით და თავგანწირვით დაუტრიალდნენ საქმეს და სულ მოკლე ხანში მუშებისაგან შექმნეს აგიტატორები. აზნაირად დასავლეთ იმერეთის

და გურიის სოფლებს მოედო მთელი ლაშქარი სოციალისტ-კრატ აგიტატორებისა, რომელნიც ხალხს აგონებდნენ. მემამულეთა და გლეხთა შორის უსაზღვრო ექსპლოატაციისათვის. ესენი უხსნიდნენ გლეხებს, რომ მიწის პატრონები უღივროთ იჯარას ახდენებდნენ მათ, და, თუ გლეხები პირს შეტყავენ და ერთად იმოქმედებდნენ, უსათუოდ გაიძარჯვებდნენ და აიძულებდნენ მემამულეთ დასთანხმდნენ იჯარის იმ პირობებზე, რომელსაც გლეხები წარუდგენდნენ მათ. გლეხებს ქვუში დაუჯდათ დარიგება. მიწის პატრონებს იჯარის პირობები წარუდგინეს, რომელზედაც უკანასკნელნი არ დასთანხმდნენ, რასაც მოჰყვა მათ წინააღმდეგ გაფიცვა და ბოიკოტი.

ამ გარემოებამ ძლიერ ააღელვა ბრწყინვალე წოდება, სრულიად აუბნია დევთარი და დაუკარგა კეთილ გონიერება. მის მაგიერ, რომ ამ, მათთვის სრულიად ახალ და გაუგებარ მოვლენას ჩაფიქრებოდნენ და რაიმე წამალი გამოეჩახათ, მთავრობას მიაშურეს. მთავრობამ დახმარება აღუთქვა. გამოჩნდნენ „ოხორტიკები“, რომელთაც ადმინისტრაციას მოახსენეს: თუ ჩვენ ვაგვაგზავნით, „ბუნტს“ თვალის დახამხამებაში მოგსპობთო, — იმედი ჰქონდათ, უმადლეს მთავრობის ყურადღებას დაიმიზნებდნენ და ჯვარ მენდალს გავიკრავთო. ადმინისტრაციამ წინადადება მიიღო და ერთ ამგვარ „ოხორტიკს“ მასრის მართვა გამოეცა ჩაბარა. გაჩაღდა ჯაშუშობა და პროვოკაცია. აგიტატორებით და „ურჩ“ გლეხებით, განურჩევლად წლოვანობისა და სქესისა, ციხეები აივსო.

მაგრამ მაგარი ის იყო, რომ ასეთმა მოქმედებამ გლეხები აიძულა უკიდურეს საშუალებებისთვის მიემართათ. მათ რეპრესიების ტრორით გასცეს პასუხი, განსაკუთრებით ჯაშუშების წინააღმდეგ. მემამულეთა მდგომარეობა გაუარესდა. ზოგიერთ ალაგამ გლეხებმა ადგილები ძალად მოხსნეს. მემამულეთ მკირე რიცხვმა არჩია გლეხებთან მორიგება, უმეტესი ნაწილი კი არ იტყდა ისტიბარს და მთავრობას ემუდარებოდა, რომ მას უფრო მკაცრი ზომები მიეღო გლეხების წინააღმდეგ. მთავრობას კი სასტიკი ზომების არჩენალი გამოელოა, მან ყველაფერი სცადა, სკოლები და სამკითხველოება დახურა, ყველა წერა-კითხვის მკოდნე ადამიანი სოფლიდან გააძევა და დაატუსაღა. და ყოველ სოფელში ეკვტუცია ჩააყენა. მთელი გუბერნიის ბრწყინვალე წოდება შევიდა გურიის თავად-აზნაურობის მდგომარეობაში და შეუამდგომლობა გაგზავნა უმადლეს მთავრობასთან, რაიმე ღონისძიება მიეღო მათდა დასახმარებლად*).

მთავრობამ ვერც გურიაში მოსპო მოძრაობა და ვერც სხვა კუთხეები დაიცვა მისაგან; რადგანაც უმიწა-წყლობა გლეხებს ყველგან აწუხებდა, მოძრაობა მთელ იმერეთ-სამეგრელოსაც მოედდა. თითქმის ყველგან, სადაც კი მოძრაობა დაიწყებოდა, ხალხს წინ სოც.-დემოკრატები უძღვებოდნენ. ამასთანავე უკანასკნელნი ავრცელებდნენ თავის „პროგრამა-მინიმუმს“ და „ჩამონაჭრების“ დაბრუნებას პირობებოდნენ გლე-

*) მახსენდება ერთი ინციდენტი, რომელიც მოხდა თავად-აზნაურობის ერთ-ერთ სხდომაზე. გურიის ბრწყინვალე წოდება ძალიან გააფთრებული იყო გლეხების ღირების წინააღმდეგ, რომელნიც, მათის სიტყვით, უნადგურებდნენ ბაღ-ბოსტნებს, ვენახებს და ყანებს. ისინი თხოულობდნენ, კრებას შეუამდგომლობა აღეშრა მთავრობის წინაშე, რათა მათ ასეთი უნამუსო ღირების დახეცვის ნება მისცემოდათ. მაშინ მედგარი იერიში მიიტანა გლეხების ღირებზე და სრულიად სამართლიანად სთვლიდა თავდაზნაურობის მოთხოვნას ერთი ნაფიცი ვეკილი, რომელსაც ამ ეპოქა შეხამინევი ალაგი უქირავს სოც.-დემოკრატების პარტიაში. ასეთი იერიში ხსენებულ პირისაგან მოულოდნელი იყო კრების იმ მკირე ნაწილისათვის, რომელიც თანაუგრძნობდა გურიის მოძრაობას და იმ პირსაც თავის ბანაკში სთვლიდა.

ხებს. მხოლოდ ეს „პროგრამა მინიმუმი“ ისეთ შინაარსისაა, როგორც არის გერმანიის და რუსეთის სოც.-დემოკრატების პროგრამა. მათ სრულიად არ მიაქციეს ყურადღება იმ განსაკუთრებულ პირობებს, რომელშიაც ჩვენი ხალხი იმყოფება, როგორც დამონებული ერი, ხალხს არ აუხსნეს, რომ, პოლიტიკურ და ეკონომიურ გაქირვების გარდა, რომელსაც განიცდის რუსის ხალხი, ის კიდევ მეტ გაქირვებაშია, როგორც ქართველი. ასეთი შეცდომა არ ჩაუდენია არც ერთ ერის სოც.-დემოკრატის რუსეთის იმპერიაში. თუ ველიკოროსების ს.-დემოკრატებს არ აინტერესებთ ნაციონალური კითხვა ეს მოვლენა სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ნაციონალურ გაქირვებას და დამცირებას არ განიცდიან. ამიტომ ველიკოროსების სოც.-დემოკრატებს ნაციონალურ კითხვის გადაწყვეტაში, რასაკვირველია, არ შეჰფერის, და თუ ეს ჩვენში მაინც მოხდა, ამის მიზეზად ალბად პარტიის ლიდერთა გონებრივი განუვითარებლობა უნდა იქმნეს მიჩნეული.

ამაირად ს.-დემოკრატებმა სოფლის ხალხს საქმით დაუმტკიცეს, რომ ისინი მათი ინტერესების დამცველი არიან რითაც ნდობა და პატივისცემა დაიმსახურეს. ეს ფაქტი კი სრულიადაც არ ნიშნავს, თითქო გლეხობამ ს.-დემოკრატიული პროგრამა არჩია ესერების ან სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამას. გლეხობას არჩევანი ჰქონდა. მან გამოუცხადა ნდობა მას, ვინც პირველად აუხილა თვალი და გამოეხარა მას. ჩვენი გლეხობა ისეთ ნაირად გაქირვებული და შევიწროებული იყო ეკონომიურად და არსებულ ბიუროკრატიულ მართველობის მიერ, რომ ყოველი ჯგუფი, რომელიც შეჰპირდებოდა მდგომარეობის გაუმჯობესობას და მისთვის იმუშავებდა, ანგელოზთა გუნდად მოეჩვენებოდა. ექვს გარეშეა, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას პრაქტიკული მოქმედება რომ დაეწყო იმ დროს, როდესაც ს.-დემოკრატებმა დაიწყეს, და ამასთანავე გამოეჩინა ისეთივე ენერჯია, გამარჯვება მას დარჩებოდა, ვინაიდან სოციალისტ-ფედერალისტთა პროგრამა უფრო შეეფერება გლეხობის ინტერესებს, ვიდრე ს.-დემოკრატიული პროგრამა. მაგრამ ფედერალისტებს დაავიანდათ. როდესაც ს.-ფედერალისტები ხალხში გამოვიდნენ პროპაგანდის გასაწევად ჭ პროგრამის გასავრცელებლად, ს.-დემოკრატებს წინან დელი მოქმედებით ხალხის ნდობა უკვე დასახურებული ჰქონდათ და ამასთანავე სოფლის ახალგაზრდობა უკვე „დაბეჭებული“ იყო. ამიტომ იმ კუთხეებში, სადაც ს.-დემოკრატები შესულიყვნენ, — ასეთი კუთხეები კი დასავლეთ საქართველოში უმეტესი იყო, — ესერებს და სოც.-ფედერალისტებს დიდი გასავალი არ ჰქონდათ. გამიგონია შემდეგი შემთხვევა. ერთ სოფელში, სადაც ს.-დემოკრატები დიდი ხნიდან მოკალათებული იყვნენ, ესერი ჩასულა და უქადაგნია ხალხისათვის. ერთ დამსწრეთაგანს ძალიან მოსწონებია ესერის სიტყვა და უთქვამს: „მართლა, კაი კი ყოფილა ეს რევოლუცია თუ რაცხაა, მარა დემოკრატიაზე ბევრი გვაქ დახარჯული და ეხლა ხელს არ მოგვცემს რევოლუციის მივეყედლოთო...“ ამას ვარდა ს.-დემოკრატები ყოველ გვარ ზომებს ხმარობდნენ, რომ მოწინააღმდეგე პარტიის აგიტატორები ხალხს არ დაახლოვებოდნენ. სოციალ-დემოკრატიის „ხელჯობიანები“ როგორც კი შეიტყობდნენ, რომ ესერი ან სოციალისტ-ფედერალისტი მოდის აგიტაციის გასაწევად, მყისვე დაუწყებდნენ ხალხს შეგონებას, — ეს აგიტატორი მემამულის ინტერესების დასაცავად მოდის და თქვენი მოტყუება უნდაო,

ხანდახან პოლიციის ჯაშუშადაც კი აქცევდნენ ასეთ „თავებელ“ აგიტატორს. სიტყვის წამოთქმის დროს კი ერთ ჯერ-ხალხს ასტებდნენ და ცდილობდნენ, ხალხი დაშლილიყო და პროპაგანდისტის სიტყვა არ მოესმინა. ზოგიერთ ალაგას თვით აგიტატორს მიმართავდნენ შემდეგის წინადადებით: „ჩვენ ხალხი მომზადებული და ვაჭრთვინილი გვაყავს, ეხლა თუ თქვენ დაუწყებთ მათ ქადაგება, დავთარი დაეხვევა (?). ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ აგიტაციის ნება არ მოგვცეთ; თუ ურჩობას ვაგვიწევთ, იძულებული ვიქნებით ძალა ვიხმაროთ და ამ კუთხიდან ვაგაძევათო“.

ასე თუ ისე, ს.-დემოკრატებმა მაგრად მოიკიდეს ფეხი გუბერნიის უმეტეს ნაწილში და თვით ქალაქ ქუთაისში და მხოლოდ მცირედი ნაწილი დარჩათ ესერებს და ს.-ფედერალისტებს. თვით რევოლუციის დროს ფედერალისტებმა სოფლად საგრძნობელი ძალა და ენერჯია გამოიჩინეს, მაგრამ ჩვენი სოციალ-დემოკრატები მაინც ვერ მოაბრბილეს. ს.-დემოკრატები თავისას გაიძახებდნენ: ვინც მარქსის სურათის წინ არ მოიყრის მუხლს, ის ხალხის მტერი არისო. რაც უნდა დიდი მზნეობა და თავგანწირულობა გამოეჩინათ ს.-ფედერალისტებს ან ესერებს საერთო მიზნის მისაღწევად, ს.-დემოკრატები მაინც ლანძღვა-გინებით იხსენიებდნენ მათ.*)

ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციის დროს თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო ს.-დემოკრატების ხელში იყო, და არ შეეცდებოდა, თუ ვიტყვი, რომ მკხოვრებთა დიდი ნაწილი იძულებული იყო თავისი თავი მუშათა პარტიის მომხრედ გამოეცხადებია.

ამ ნაირი ძალთა განაწილება იყო მებრძოლ პარტიათა შორის, როდესაც მთავრობამ დასავლეთი საქართველო დაუთმო ალიხანოვს. აქ კი გაბატონებულმა პარტიამ მოულოდნელი წინდახედულობა და კეთილ-გონიერება გამოიჩინა: ფიცხლავ იარაღი დაჰყარა და თავს უშველა... ალიხანოვი კი საბრძოლველად ჩამოვიდა და სისხლი სწყუროდა, რის გამო იმ გარემოებამ, რომ მას წინააღმდეგობას არავინ უწყევდა, თითქო უფრო გაახელა... ჯარებიც უფრო ვაბედულად და გულ-დამშვიდებით მოქმედობდნენ, რადგანაც დარწმუნდნენ, რომ მოწინააღმდეგე და ხალხის მომხრე არსად სჩანდა... საბართლიანად შეუძლია ალიხანოვს გაიმეოროს ქართული ანდაზა: სოფელი ვნახე უძალო, შიგ ვავიარე უჯოხოო. როდესაც ალიხანოვმა გული იხვერა უპატრონო ხალხის წვადავით და ხოცვა-ჟლეტით, და მისი დამქაშნი, რომელთა რიცხვი მრავალი ქართველი ბრწყინვალე გვარის შვილი ერია, მოიღალენ, ს.-დემოკრატებმაც იწყეს ნელ-ნელა თავთავის რაიონში დაბრუნება. მათვე უჩრჩიეს ხალხს, სათათბიროს არჩევნებში მიეღო მონაწილეობა. ამ შემთხვევაში მთავრობის განზრახვას არ ეწინააღმდეგებოდა სოციალ-დემოკრატების მოქმედება და ისიც ხელს არ უშლიდა, რის გამო სრულიად დაუბრკოლებლად, ჩვეულებრივის ენერჯიით შეუდგნენ არჩევნების საქმეს.

თავდაპირველად ს.-ფედერალისტებმა სათათბიროს ბოიკოტი გამოუცხადეს, მაგრამ შემდეგ გადაწყვეტილება შესცვალეს და მოისურვეს წარმომადგენლის ვაგზაენა სათათბიროში. იმ რაიონებში, სადაც მათ ვაგლენა ჰქონდათ, თავისი

*) შეგვიძლია მრავალ ფაქტის დასახელება, რომელიც სოციალ-დემოკრატებს ჩაუდენიათ მებრძოლ პარტიათა წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ მათთვის ხალხის თვალში სახელი გაეტეხათ; ეს ისეთ ღირსების ფაქტებია, რომელიც არ შეეფერება არავითარ პარტიას, მაგრამ ამაზე ლაპარაკი დღეს დღეობით უდროვოდ მიგვანია.

ამომრჩევლები გაიყვანეს, მაგრამ სათათბიროში წევრების არჩევნების დროს მათ კანდიდატებს მაინც არ დაურჩათ საკმაო ამომრჩეველი ხმა. სოციალ დემოკრატებს, რუსები რომ იტყვიან, «*ПОВЕЖИО*» და მათ კანდიდატებს მოლოდინზე მეტი თეთრი კენჭი ამოუვიდათ. შედარებით თვალსაჩინო ბრძოლა ს.-დემოკრატებსა და ს.-ფედერალისტებს შორის ქუთაისში გაიმართა. არც ერთს მათგანს იმედი არ ჰქონდა პარტიული ხმებით გაეყვანა თავისი კანდიდატები, რის გამო ისეთი პირების კანდიდატურა წამოაყენეს, რომელთაც უფრო მეტი სახელი ჰქონდათ დამსახურებული მოქალაქეობის მხრივ, როგორც პირივენი და არა როგორც ამა თუ იმ პარტიის წევრ-ასეთი ხერხი კიდევ მისახვედრი იყო ს.-ფედერალისტების მხრივ, რომელთაც პარტიულ ხმებით გამარჯვების იმედი არ ჰქონდათ, მაგრამ სრულიად გაუგაუებარი იყო ასეთივე ხერხი სოციალ-დემოკრატების მხრივ, რომელნიც წინააღმდეგ დარწმუნებულნი უნდა ყოფილიყვნენ, რომ სხვის დაუხმარებლად გამარჯვებდნენ. ამასთანავე ქ. ქუთაისის არჩევნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სოციალ-დემოკრატებისთვის, ვინაიდან აშკარა იყო, რომ თუ ისინი გამარჯვებდნენ გუბერნიაში, ორ წარმომადგენელს სათათბიროში ქუთაისის ამომრჩეველთაგან ვაგზავნიდნენ. მიუხედავად ამისა, მათ ქუთაისში ამომრჩევლებად წამოაყენეს არა ისეთი პირები, რომელთაც უფრო დიდი ღვაწლი მიუძღოდათ პარტიის წინაშე თავის მუშაობით, არამედ ისეთნი, რომელნიც *СЪ ПРЪВЪТ-НЫМЪ ПОЛОЖЕНІЕМЪ* იყვნენ. ბ. ჯაფარიძე ხომ ნამდვილი «ფუქსია» ს.-დემოკრატიულ პარტიაში, მაგრამ არც მაინც და მაინც დიდი ხანი გასულა მას აქეთ, რაც ბ. გომართელი ასაფემას გადასცეს...

შედგვი არჩევნებისა იყო ბრწყინვალე გამარჯვება სოც.-დემოკრატებისა და სასტიკი დამარცხება ს.-ფედერალისტებისა, რაც მოსალოდნელი იყო, თუ მხედველობაში მივიღებთ ახლო წარსულს და აწმყოს. ასეთი შედეგი კი იმას ნიშნავს, რომ ხალხი იმ პარტიას დაუჭერს მხარს, რომელიც *ღრმად* გაუწვდის მას დამხმარებელ ხელს, თუნდაც ამ ხელმა არც იმდენი დახმარება გაუწიოს, რამდენსაც ხალხი მისგან მოელოდა.

ქუთათუნი

მარტოელი თავად-მხნაშრეობა და გლახობა

(დასასრული*)

ბატონ-ყმობის დროს თავადის სისხლსა და ხორცში გამჯდარი ბატონური სიამაყე და გლეხის მიერ შეთვისებული მონური ინსტიტუტები ჯერაც არ გამქრალა. ადამიანის ცხოვრებაში ეს ისეთი იარა იყო, რომელიც მორჩენის შემდგავ სტოვებს თავის კვალს. მემამულე დღეს ვადარებდა, ვადატაკდა, ცხოვრების წინმსვლელობით მისმა წოდებამ თავისი ელფერი, მნიშვნელობა დაკარგა, მაგრამ გლეხის წინაშე ის თავს დღესაც ბატონად განძობს. გლეხი მონობისგან განთავისუფლდა, დღემდის თანდათან პოულობდა და საცაა სულაც მოიპოვებს ყოველგვარ მოქალაქობრივ უფლებას, მაგრამ მემამულის წინაშე ის ისევ მონაა, ის ისევ იმეორებს თავს, ისევ პირმოთენობს, რადგან, თუ ასე არ მოიქცა, შიმშილით მოკვდება. თუ მემამულე არ აბატონა, თუ თავდაბლად არ მოიქცა, მემამულე მწიას საღალოდ არ მისცემს, ტყეში არ გაუშვებს, საბალახეს მოუსპობს, წყალს არ მიაკარებს, და

ყველა ეს თუ გლეხებს მოაკლდა, შიმშილისგან სულად მოკვდებოდა.

აი, ამგვარად არის დამოკიდებული დღეს გლეხი თავადისაგან და ნურავის გაუტყვირდება, თუ ვიტყვი, რომ ბატონ-ყმობა დღესაც არ მოსპობილა ჩვენში.

როგორც სამხედრო დისციპლინა მოითხოვს ჯარის კაცისაგან აფიცრთან ლაპარაკის დროს ერთგვარ მონურ ლაპარაკსა და ქცევას, როგორც, მაგალითად, «ჩესტის» გაკეთებას და პასუხებს; «*ТАКЪ ТОЧНО, НИКАКЪ НБѢГЪ, ВАШЕ БЛАГОПОРОДІЕ*», ისე სოფელში ერთხელვე დამყარებული ზნე-ჩვეულება მოითხოვს, რომ გლეხი მემამულეს სხვანაირად ელაპარაკებოდეს და მემამულე გლეხს—სხვანაირად. გლეხი გლეხს რომ შეხვდება, ერთი მათგანი რაც გინდ შეძლებული იყვას და მეორე—ღარიბი, ეტყვის: «გამარჯვება» და გაივლის. თუ შეხვდა თავადს ან აზნაურს, გინდა უცნობი იყვას, გინდა უღირსი, უნდა ქული მოიხადოს და მოწიწებით უნდა უთხრას: «სალამო (ან დილა) მშვიდობისა». «გამარჯვება» რომ უთხრას, ის პასუხს არ მისცემს და შეიძლება კიდევ გაღანძლოს. ოცი—ოცდაათი გლეხი რომ იჯდეს და ლაპარაკში იყოს გართული, თუ გამოიარა მემამულემ, გლეხებმა ლაპარაკი უნდა შესწყვიტონ და ფეხზე წამოდგენ. ქვემო ქართლში ამის შესახებ უფრო უარესი ჩვეულება არსებობს. გლეხი თუ მიდის ცხენით ან ურმით და გზაში შეხვდა თავადს, უნდა გადგეს განზე, ცხენიდან ჩამოხტეს და იდგეს ქუდმობილი, სანამ თავადი გვერდით არ გაუვლის და კარგად შორს არ წავა. მონობის ამგვარ გამოხატვას გენერალიც კი ვერ მოსთხოვს უბრალო ჯარის კაცს!

ხშირად შეხვდებით შემდეგ სურათს: ტახტზე ან სკამზე მოკეცილი ზის მემამულე თავის აივანზე ჩიბუხით პირში და ელაპარაკება ეზოში მდგომ გლეხებს, რომელთაც მოუხდით ქულები და დგანან მოთმინებით. რაც გინდ წვიმა იყვას, თოვლი, სიცივე თუ სიცხე, გლეხს აზრად არ მოუვა ქული დაიხუროს, და არც მემამულე ეტყვის: ქულები დაიხურეთო. აი კიდევ ნაშთი ბატონ-ყმობისა: მიდის, მაგალითად, რომელიმე თავადი სოფელში დაღებისა და სხვა და სხვა გადასახადების ასაღებად მიდის და მიჰყავს თან ცხენებით ორი-სამი ამხანაგი, რათა გზაში და იმ დროს, რასაც სოფელში დარჩება, არ მოსწყინდეს და ფულის აღებასთან ერთად დროც კარგად გაატაროს. მიჰყავს აგრეთვე თან ბიჭები, ტყის მცველები და სხვანი. ეს ხროვა, ათი—თორმეტი კაცი და ამდენივე ცხენი უნდა გამოჰყვებოს სოფელმა, სანამ მემამულე საქმეს გაათავებდეს და სხვა სოფელში გადავიდოდეს. გაჩნდება ძღვენების ზიდვა. თუ ძღვენი გლეხმა გლახა მიიტანა ან ვერ შესძლო მიტანა, მემამულე გლეხს არაფერს ეტყვის, მაგრამ თავის მცველებს მოიხმობს და ცხელ დღეს დააყენებს: ძღვენი თუ არ მოიტანა გლეხმა, ან თქვენ რა გაქამოთ, ან ცხენებსაო. ამიტომ მცველები ხშირად დაუხვდებიან ხოლმე გლეხებს სოფლის ბოლოში, დაუსინჯავენ ძღვენებს და ვაი იმის ბრალი, ვისაც არ მოაქვს: ქათამი, ცხრა პური, დიდი დოქი კარგი ღვინისა, ყველი, ქერი და ბზე,—ამისთანა «თავხედს» სცემენ და უკან აბრუნებენ.

მაგრამ გლეხის წვალება და ზარალი ამით არ თავდება. ამ გვარი «ეკსტრეუცია» ხშირად ზაფხულში ან შემოდგომაზე ხდება, როდესაც გლეხისათვის ყოველი საათი ძვირფასია. მემამულე იბარებს გლეხებს სამუშაო დღეს ყველას ერთად. გლეხები იკრიბებიან ძღვენებით დილით, გათენებისას, მემამულეს თავის დამქაშებით სძინავს, შუადღისას იღვიძებს, შემ-

*) იხ. «ივერია» № 17,

დღე მუსაიფობს და ორ. სამ გლესთან ვერ მოასწრებს ანგარიშის გასწორებას, რომ სადილის დროც მოდის. სუფრაზე სხდებიან და ქეფი გრძელდება საღამომდისინ, საღამოზე დრო აღარ არის, გლესები სახლებში ბრუნდებიან იმითი, რომ ხვალ დილით გათენებისას ისევ მოვიდენ ძღვნებით და საღამოზე ისევ დაბრუნდენ სახლში საქმის გაუკეთებლად. ამ გვარ „ექზეკუციის“ დროს გლესი ჰკარგავს ერთ კვირას, შევიდოდე ქათამს, ორმოცზე მეტს პურს, ორ ჩაფამდე ღვინოს და სხვა ბევრს რასმე.

როგორც ყოველ-გვარი „ექზეკუცია“, „ბატონის“ ამ გვარი „მოძრძანება“ გლესის დამღუპველია. გლესს ვინდა უთხარი: „სოფელში ბატონი მოვიდაო“ და ვინდა ხორველის გაჩენის ამბავი აუწყე. ორივე მოვლენას ერთგვარად მიიღებს, თუმცა ამ გვარი „ექზეკუცია“ და ამ გვარი „ბატონი“ გლესს მუდამ უდგია სახლში. პირველი წელიწადში ერთხელ აძრობს ტყავს, უკანასკნელი კი ნელ-ნელა, შეუმჩნევლად აღარბებს და სულს უხუთავს საბრალო გლესს. ეს არის: მემამულის ტყისა და ველის მცველები, სხვა და სხვა ოსები, ჩაჩნები, თათრები, ინგუშები, რომლებიც მართლა რომ გლესის სისხლით საზრდოვობენ.

მემამულე რომ იყენებს ტყისა ან ველის ცველად ამ კაციკამიებს, შემდეგი საუბარი ხდება მათ შორის: „კაცს მოჰკლავ?“ — „მოვკლავ“, „სასამართლოში ტყუილად დაიფიცებ?“ — „დაიფიცებ!“ „გლესკაცს ვეილს არ მოუნათლავ, არ დაუმეგობრდები?“ — „არ მოვუნათლავ, არ დაუმეგობრდები!“ „კარგი, მაშ, შენ გექნება თვეში ჩემგან ერთი თუმანი (ხანდახან ნაკლები) ჯამაგირი. რასაც დაიჭერ ტყეში ან მინდორში საქონელს თუ უბაჟოდ ტყის მზიდველ ადამიანს და რასაც გადაახდევინებ, შენი იქნება. თუ კაცს დასჭრი ან მოკლავ, სასამართლოში ხარჯი და ცდა ჩემი იქნება. აბა, შენ იცი, როგორც ერთგული იქნება!“ ამით თავდება მათი მოლაპარაკება. მცველი, ჯამაგირს ვარდა თუ თვეში 7-8 თუმანი არ აიღო, ადვილზე არ გაჩერდება. ამ ფულს იგი ყოველ თვე იღებს გლესის კისრიდან. დღე და დამემშიერ მგელივით დადის წყლის ნაპირებზე, ტყესა და მინდორში და „კანონიერად“ და უკანონოდ ჰყვლეფავს, ვისაც კი მოასწრებს. თუ ვინმე ძალაზე დაუდგა, თოფი მზადა აქვს, ან დასჭრის, ან მოჰკლავს და, თუ მემამულემ უშველა, ხომ კარგი, თუ არა და გადავარდება და წაევა ისე, რომ მის კვალსაც ვერ იპოვნინ.

თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული, მხეცი, უგულო, დაუნდობელი ის შიშსა ჰგვრის მთელს არე-მარეს. გლესი მის წინ ცახცახებს და მზად არის უკანასკნელი პერანგი გაიხადოს და მისცეს, ოღონდ მისი რისხვა არ დაიმსახუროს. ის ისევე დაბლა უკრავს მას თავს, როგორც „ბატონს“, ისევე სძულს, როგორც ის. არის გაჩუმებული და მოთმინებით იტანს ყოველგვარ დამკირებას, დაბეჩავენას, ყვლეფავს და ძარცვას. ყოველი მათგანი ცალ-ცალკე ძალით ვერ სჯობნის მემამულეს. სასამართლოებში სამართალს ვერ ჰოვებს. ამას ზედ დაუმატეთ ის გარემოება, რომ ოდესღაც მიღდარი, ხოლო დღეს გადარიბებული მემამულე არაფერს არ ეძიდება და ყოველგვარ საშუალებას ხმარობს, რომ თავისი ბიუჯეტი როგორმე შეავსოს. ხშირად უგირავებს ან ჰყიდის გლესზე მიწას და ისევ უკან ართმევს; ყოველ კუთხეში ხაფანგს აგებს, რომ როგორმე გააბას შიგ გლესი და ერთი ორი მანათი გამოსცინოს. მაგალითად, ერთმა მემამულემ არ მოისურვა თ-

ვის ვენახის შეღობვა იმ მიზნით, რომ გლესის ხაჭყალი უფრო ან ღორი გადავა, დავიჭერ და ფულს გადავხდევინებო. ერთის სიტყვით თავად-აზნაურობამ თავისი ქცევით იქამდის მიიყვანა საქმე, რომ მისი გულ-კეთილობა, კეთილი განზრახვა, გლესის სიყვარული, მასთან მეგობრობის სურვილი დღეს გლესს არა სჯერა და, რაც ვინდ ვფიცოთ და ერთ ორ საქმეშიაც დაუმტკიცოთ, არც დაიჯერებს. თავადმა ან აზნაურმა რომ შეიძლიოს გლესს საჩუქრად ფული, ან სხვა რამ, უკან დაიწევს და არ მიიღებს ნაჩუქარს, აქ რალაცა მალული აზრია, თორემ ვის გაუგონია, რომ თავადმა გლესისთვის სიკეთე მოინდომოსო.


აი ის წვერილმანი მიზეზები იმ სიძულვილისა, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ; აი, სხვა უმთავრეს მიზეზებს გარდა, რით აქვს დაკოდილი გული გლესს თავად აზნაურობისაგან. აი პასუხი იმ თავადსა და აზნაურს, რომელიც, როგორც ზევითა ვსთქვიო, სჩივის: რა დაუშავე გლესს, რომ დღეს ის მდევნის და სიკვდილს მიჰქადისო. ამ მოვლენაში პირადობა არავითარ როლს არ თამაშობს. პირადად შეიძლება რომელიმე თავადი ან აზნაური, მეტადრე იმ თავად-აზნაურთა ჯგუფისა, რომელიც თავისი ხელით მუშაობს და გლესისგან არაფრით განიჩევეა, შეიძლება კარგი მიპართულებისა იყვეს, გლესთან მეგობრული, ადამიანური განწყობილება ჰქონდეს, მაგრამ გლესთა მოძრაობის ტალღა იმასაც მოხვედეს, როგორც მემამულეს, როგორც წოდების წარმომადგენელს, რადგან ამ ორი სახელის გაგონება ქართველ გლესს გულის მუწუქზე ხვდება და იარას უკაწრავს.

მეგობარი.

პატარა შიქრები

გურიასი მასწავლებელთა კავშირი შესდგა. მოიწვიეს დამფუძნებელი კრება, შემუშავეს პროგრამა და საქმესაც შეუდგენ. დღემდის საქართველოში რამდენიმე კავშირი არსებობდა მასწავლებლებისა და ამ ორ დღეში კახეთშიც დაარსდა ახალი კავშირი. გურიის მასწავლებლებს შეეძლოთ ან ერთ კავშირს მიჰკვდებოდნენ, ან მეორეს, ან არც ერთს, მაგრამ კავშირების დაარსებაში კი მონაწილეობა უნდა მიეღოთ. მათ დააარსეს საკუთარი, გურიის კავშირი და ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ სოც.-დემოკრატების ბანაკში „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უძვეს დიდი ზღვარი“. გურიის მასწავლებელთა დიდი უმეტესობა სოც.-დემოკრატები არიან და, რასაკვირველია, სასებით აღიარებენ მარქსიზმის ცენტრალიზმის პრინციპს. ამ პრინციპის ძალით ისინი უნდა მიჰკვდებოდნენ საქართველოში არსებულ მასწავლებელთა ერთ-ერთ კავშირს, ან დაეარსებინათ ახალი კავშირი მთელ საქართველოს მასწავლებლებისა და თავისთვის ავტონომიური თვითმართველობა მოეთხოვათ. მაგრამ ისინი მზად არიან ფაქტიურად თუნდ სრულიად გამოეყვენ მთელ რუსეთსა და საქართველოსაც, ოღონდ ნუ ათქმევენებთ მათ, რომ ისინი ავტონომიის მომხრე არიან. მაგრამ ეს სხვათა შორის იყოს.

დიდი ყურადღების ღირსია შემდეგი ფაქტი, რომელიც ისევ გურიის მასწავლებელთა კავშირის ცხოვრებას შეეხება. ამ კავშირს ჯერ პირველ რიგე არ შეშრობია, ჯერ ფეხი არ აუდგამს და ეხლავე ვიწრო დოგმატიზმისა და პარტიულ ფანატიკოსობის მორევისკენ იწვევს. მასწავლებლებს გადაუწყვეტიათ საზოგადოებრივ ბაზმაროს მთებში წასვლა და იქ სამასწავლებლო კურსების დაარსება. დაიწყო ლაპარაკი და მოთქმა-მოთქმა იმის შესახებ, თუ ვინ მოვიწვიოთ ლექტორებადაო.



უმეტესობა, რასაკვირველია, იმ აზრისა ყოფილა, რომ ლექტორები სოც.-დემოკრატიულ პარტიას უნდა ეკუთვნოდნენ. ვიღაც მასწავლებელს უხსენებია ტფილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ზედამხედველი შიო ჩიტაძე*), მაგრამ აღმოჩენილა, რომ ჩიტაძე სოც.-დემოკრატი არ არის, და გურიის მასწავლებლებმაც, რასაკვირველია, უარ-ჰყვეს ისეთი ლექტორი, რომელიც ლიტერატურის ისტორიის მარქსიზმის თვალთა ხედვის ისრით არ ახსნიდა. მე ხშირად ვყოფილვარ სოფელში და საკმაოდ ვიცნობ ჩვენებურ სოფლის მასწავლებლებს. მათი არმია შედგენილია შემთხვევით, ძალად მაცხონებ მასწავლებლებიდან, რომელთა გონებრივი ბაგაჟი — და ხშირად ზნეობრივიც — უმეტესების პირველ საუბურს არ ასცილებია. მე არავისგან არ ვთხოვლობ ამა თუ იმ მასწავლებლის ატტესტატს და არც სოფლის მასწავლებლებს მოვთხოვ სიბრძნის ოფიციალურ იარაღს, მაგრამ, იმეღია, ყველა დამეთანხმება, რომ უფლება მაქვს მოვთხოვო სოფლის მასწავლებლებს ის, რასაც თხოვლობს პედაგოგის ძირითადი პრინციპი: ცოტადენი ცოდნა და სურვილი ახალ ცოდნის შეძენისა. გურიის მასწავლებლებს კი აქ იათ სურვილი საზოგადოდ ცოდნის შეძენისა და დიდი ხალისი აქვთ სოც.-დემოკრატიულ მოძღვრების შესწავლისა. მე იმასაც დავუმატებ, რომ მართა ერთ რომელიმე მოძღვრების შესწავლას ისევ სრული უვიცობა სჯობია. სხვა რომ არა იყოს რა, უფიცი ადამიანი ფანატოკისი და ბრმა დოგმატიკოსი მიინც არ იქნება. რა უნდა მასწავლოს ახალგაზნდა თაობას იმ მასწავლებელმა, რომელმაც არა თუ არაფერი არ იცის, არამედ არც უნდა ისწავლოს რამე.

გურიის მასწავლებლებმა ახალ დაწესებულებას ტყუილად დაარქვეს მასწავლებელთა კავშირი. მე მათს ორგანიზაციას ასეთ სახელს დავარქმევდი: გურიის მასწავლებელთა ფილიალური განყოფილება რუსეთის სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიისა.

* * *

ნუ ეწყინებათ გურიის მასწავლებლებს. მე იმათ იმას კი არ ვუსაყვედურებ, რომ ისინი სოც.—დემოკრატები არიან. არა, ასეთი საყვედური ჩემის მხრით უარყოფა იქნება პიროვნებისა და პირად რწმენის თავისუფლებისა, რომელსაც მე თვითონ ვეთაყვანები. ზემონათქვამით მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ჩვენმა სკოლამ თვითპყრობელობას ერთი საზიზარარი სენი ჩამოართვა და თვითონ მიისაკუთრა. განა დღემდის იმას არ გავიძხვდით, რომ სკოლაში პოლიტიკა არ უნდა იყოს გამეფებულიო? განა დღემდის თვითპყრობელობას იმას არ ვუკიცივებდით, რომ იგი მოსწავლის გონებას დღმითა და პარტიულ მოძღვრებით ახშობსო? ამ საგანზე მთავრობას საშინელი ბრძოლა ავუტყებთ, ზოგ პოზიციასზე გავიმარჯვებთ კიდევ, მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ იმ პოზიციიდან, რომელსაც წინად პრინციპიალურად უარგყოფდით, მთავრობის იესუიტოზმი და დღმა გავდევნეთ და მის ალაგას ჩვენი საკუთარი დღმა და იესუიტოზმი დავამკვიდრეთ. მე ისევ პარტიობანახე მაქვს ლაპარაკი და ვფიქრობ, რომ სკოლაში პარტიულ დროშით შესვლა ბოროტმოქმედებაა. სკოლაში ცოდნისა და შრომის მაგივრად შეაქვთ პოლიტიკა, პარტიული პროპაგანდა და პარტიული შეჩჩეობა. მე არ მინდა ცალკე მაგალითების დასახელება და ეს არც არის საჭირო.

*) მოკლულ იქნა 4 ივლისს გიმნაზიის შენობაში კაზაკებისა და სალდათების მიერ.

ყველამ კარგად ვიცით, როგორ მონაწილეობას უღებენ უსუსური მოსწავლე ახალგაზნდა პარტიულ მოძღვრებაში იშვიათად შეხედებით 12—15 წლის მოსწავლეს, რომელიც თავიანფებებიანად ამოვლებული არ იყოს ამა თუ იმ პარტიის საღებავში და მუშტების ქნევით არ ამტკიცებდეს ან ცენტრალიზმს, ან ფედერაციას, ან ანარქიზმსა და ათასგვარ „იზმებს“. მე თვითონ ვიცნობ ისეთ მოსწავლევებს, რომელნიც ამ მოკლე ხანში ავანტიურისტებად და ქუჩის მაწანწალებად გადაიქცნენ. ჩვენი მოსწავლე თაობა ისედაც დაბლა სდგას თავის გონებრივ განვითარებით და შრომის უნარით. მაგონი არც ერთ ერის მოსწავლე თაობას ისე კარგად არა აქვს დაზვიანებული პარტიული პროგრამა, როგორც ქართველ ახალგაზნდას, მაგრამ ამავე დროს არც ერთ ერის მოსწავლე ახალგაზნდა გონებრივად ისე დატყია არ არის, როგორც იგივე ქართველი მოსწავლე თაობა. ჩვენს ახალგაზნდას ცოდნის შეძენა, შრომა, მეცადინეობა და მუდმივი ენერგიული მუშაობა იმდენადვე ენელება, რამდენადაც ვადვილებთ მარქსის კომუნისტურ მანიფესტის, ან ორგანოზიან ბროშურების დაზვიანებას და დაღუქვას. ამა ერთი ჰკითხეთ რომელიმე „მომზადებულ“ „ამხანაგს“, რომელ კონგრესზე რა თქვეს მასლოვმა, პლენანოვმა, ბებელმა, მარტოვმა და ლენინმა და რა უპასუხეს კარსკიმ, ყორესმა, გედმა, ვანდერველდემ და ლაფარგმა; ჰკითხეთ და დარწმუნებული იყავით, რომ ფონოგრაფიულის სისწორით გიპასუხებენ „ამხანაგ“ ყორესისა და პლენანოვის ნალაპარაკებს. მაგრამ, ამა, ერთი ჰკითხეთ იმავე ამხანაგს, რა სთქვეს ამა თუ იმ მეცნიერულ კონგრესებზე ენრიკო ფერარმა, ჰალევიმ, მენიკოვმა, ლომბროზომ, ჰეკელმა, სენიბოზმა და ედისონმა; ჰკითხეთ და იგივე „ამხანაგი“ ან პირს დააღებს, ან ხელს ჩაიქნევს და მოგ შორდებათ. ჰკითხეთ მას, რა განსხვავება ორტოდოქს მარქსისტებსა და რევოიონისტებს შორის, რა და რა თხზულებები დასწერეს კაუტკიმ, ბერნშტეინმა, გედმა, ლიბკნეხტმა, ფოლმარმა, მერინგმა და ზინგერმა, ან რა სწერია რუს. სოც.-დემ. პარტიამის მეთათხე თუ მეშვიდე მუხლში და ისეთ პასუხს მიიღებთ, რომ ერთი ასოც არ შესცდება; მაგრამ, ამა, იმავე თუთი-ყუშს ჰკითხეთ, ვინ დასწერა „ბრანდტი“, „იმპერატორი და გალილეველი“, „სულით ობოლნი“, „რუგონ მაკარების ოჯახი“, ან ვინ არიან ნიუტონი, იბსენი, ტოლსტოი, კოპერნიკი, გალილეი, დარვინი, ლაპლასი, ნიცშე, გიუიო, ვერიბიდი, რუმენსტიციანი, გიოტე და ათასი სხვა უკვდავი გენიოსი; „ამხანაგი“ ან ვერაფერს გეტყვით, ან კიდევ სერიოზულად დაგიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ტოლსტოისა, ნიცშე, გიუიოსა, კრაპოტკინისა, იბსენისა და შტირნერს შორის არავითარი განსხვავება არ არის, რადგან ყველანი ანარქისტები არიანო, ან გიოტეს ბურჟუაზიულ მწერლის იარაღს მიაკრავს, ტიციანსა და რუმენს ბურჟუაზიის მოსამსახურეებს უწოდებს, ყველას გამოგილანძღავთ და თქვენც ლექციას წავიკითხავთ ორკავიკიან ბროშურიდან შესახებ იმისა, რომ პროლეტარიატის ინტერესებს ცუკს მხოლოდ რუსეთის სოც.-დემ პარტია და მხოლოდ ეს პარტია დაამყარებს ამ ქვეყნად სოციალურ სამართლიანობას, მშობას, ერთობას და საერთაშორისო სოლიდარობას. სიფიწროვე აზროვნებისა და ცალმხრივობა ცოდნისა (უკეთ რომ ვთვით, სრული უცოდინარობა) ჩვენი ახალგაზნდას დამახასიათებელ თვისებას შეადგენს. და ჩვენი მასწავლებლებიც თავიანთ პარტიულ ფანატოკოსობით ხელს უწყობენ მოსწავლე ახალგაზნდაში ცალმხრივობისა და ვიწრო

ლოდმატიზმის განვითარებას. მათთვის იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, რომ მოსწავლემ შეიძინოს რაიმე ცოდნა; არა, მათთვის მხოლოდ იმას აქვს მნიშვნელობა, რომ მოსწავლემ ან სოც. დემოკრატიის ქუდი დაიხუროს, ან ფედერალისტისა და ან ნაციონალისტისა. ტფილისში არის ისეთი სასწავლებელი, სადაც ცხრა მეთაფი ფედერალისტები არიან; არის მეორე სასწავლებელი, სადაც ცხრა მეთაფი სოც.-დემოკრატები არიან; არის მესამე და მეოთხე სასწავლებელი, სადაც უმეტესობა ან დაშნაკაცანები, ან რუსი „პატრიოტები“ არიან. არ შეიძლება ითქვას ამა თუ იმ სასწავლებელზე, ეს რუსული სასწავლებელია, ან-ქართული, ან-სომხური. უნდა ითქვას ეს სოც.-დემოკრატების სასწავლებელია, ეს-დაშნაკაცანებისა, ეს კი-ფედერალისტებისაო. პარტია შავ ღრუბელივით მოედო რუსეთს და უფრო კი საქართველოს, სადაც პარტიულმა ლოლიკამ, პარტიულმა ეთიკამ, პარტიულმა მორალმა და პარტიულმა პედაგოგიამ ყველაფერი განდევნა და თავებულურად შეამტვრია კარები ოჯახშია, სკოლაშია, სასამართლოშია, საქველმოქმედო საზოგადოებებშია და ლამის არის მეხვე ქალთა სახლსაც ეწვიოს.

„ახალმა ცხოვრებამ“ სამსვეტიანი წერილი მიძღვნა, რომელშიაც ამტკიცებს, რომ მე მოვყოლივარ „დღეობრულ ლინდღვა-გინებას და უშინარსო აბდაუბდას, რომელიც მით უფრო სასაცილოა, რომ მე ჩემი „თავი ფრიად განათლებულ და გონება მახვილ პოლიტიკოსად“ მომაქვს.“

ასეთ რეპლიკებზე მე არას ვუპასუხებ წერილის ავტორს, და მხოლოდ ორიოდ სიტყვას ვიტყვი საგნის შესახებ. ახალ ცხოვრების ფელეტონისტი ამტკიცებდა, რომ ეროვნულ საკითხს უკიდურესობამდე შეასუსტებს მხოლოდ დემოკრატიული რესპუბლიკა და რუსეთიც სწრაფის ნაბიჯით მიექანება ასეთ რესპუბლიკისკენაო. ამის დასამტკიცებლად ავტორს მოჰყავდა შვეიცარიის ფედერატიული რესპუბლიკა, მე კი ვუთითებდი ამერიკაზე და საფრანგეთზე, სადაც ეროვნული ჩავრა ძლიერია მეთქი. ამაზე „ახალ ცხოვრების“ პრესის მიმომხილველი მიპასუხებს: „მას (ე. ი. მე) საფრანგეთი დემოკრატიული რესპუბლიკა ჰგონია!“ და ცოტა ქვეით სწერს, რომ „დღეს ევროპაში დემოკრატიული რესპუბლიკა არსად არსებობსო“. მაშ რას ეძახის ავტორი დემოკრატიულ რესპუბლიკას? აი რას: „დემოკრატიული რესპუბლიკა ისეთი პოლიტიკური ფორმაა, სადაც გაბატონებულია არა კაპიტალისტების ესა თუ ის ნაწილი, არამედ ბურჟუაზია, როგორც ერთი მთლიანი კლასი“. მე გგონია ჩემი მოკამათეც დამეთანხმება, რომ შვეიცარიაში გაბატონებულია „ბურჟუაზია, როგორც ერთი მთლიანი კლასი“ და „არა კაპიტალისტების ესა თუ ის ნაწილი“; შვეიცარიაში თითქმის სავსებით განხორციელებულია დემოკრატიული წყობილება: არსებობს საყოველთაო არჩევნები, რეფერენდუმი, მილიცია და სხ. მაშ რატომ არ უნდა ჩაითვალოს შვეიცარია დემოკრატიულ რესპუბლიკად? იმიტომ, რომ ჩემ მოკამათეს ნათლად არა აქვს წარმოდგენილი საზღვარი დემოკრატიულ და ანტიდემოკრატიულ რესპუბლიკისა. მისი აზრით საფრანგეთი არ არის დემოკრატიული რესპუბლიკა, რადგან „საფრანგეთში ბიუროკრატიის მუდმივი ჯარის, პოლიციის და სხვ. წყალობით პოლიტიკური სასწორი მსხვილი ბურჟუაზიისკენ არის გადახრილი“. ამაზე მე ვუპასუხებ: ამერიკაში არც ბიუროკრატია და არც მუდმივი ჯარი არ არსებობს, მაგრამ „პოლიტიკური სასწორი“ მარტო მსხვილ კაპიტალისტებს უჭირავთ ხელში.

რისგან მოხდა ეს? მუდმივ ჯარისა და ბიუროკრატიის მეოხებით, რომელიც იქ არ არსებობს?

მე არ გავარჩევ მთელ წერილს, რომელიც თავიდან ბოლომდის ასეთ წინააღმდეგობაზე აშენებული, მაგრამ არ შემიძლიან უყურადღებოდ დავტოვო წერილის დასასრული. წინანდელ წერილის ავტორი ამტკიცებდა, რომ „ის, ვინც ამიერკავკასიის ავტონომიას ითხოვს, ის ჩვენი ქვეყნის ბედს კულტურისა და რუსეთს აშორებს და ველურ აზიას უკავშირებსო.“ მე ამაზე ფელეტონის ავტორს რამდენიმე კითხვა მივეცი, მაგრამ არც ერთ მათგანზე პასუხი არ მივიღე პრესის ავტორი გვიმტკიცებს, რომ „თათრებთან და ამიერ კავკასიის სხვა ერებთან შედარებით რუსეთი სწორედ რომ კულტურისანი ქვეყანაა.“ მე რაო? ამიტომ უკულტურო ქვეყნები „კულტურისანი“ რუსეთს უნდა დაუქვემდებაროთ? თუ ასეა, უჩინეთ რუსეთის სოც. დემოკრატებს „კულტურისანი“ რუსეთი უფრო კულტურისანი გერმანიას დაუქვემდებარონ და ისეთ პასუხს მიიღებთ, რომ მეორედ აღარ მოგინდეთ კულტურაზე ლაპარაკი. პირადად მე წინააღმდეგი ვარ ამიერკავკასიის ავტონომიისა, რადგანც ასეთი ავტონომია საქართველოს „უკულტურო“ მაჰმადიანებს დაუქვემდებარებს, მაგრამ რა შუაშია აქ „კულტურისანი“ რუსეთისაგან დაშორება? თუ ჩემ მოკამათეს ჰგონია, რომ კულტურის შეტანისთვის ამა თუ იმ ქვეყანაში საჭიროა ამ ქვეყნის ძალით დამორჩილება და მისი უფლებების შელახვა, მისი ეროვნულად გადაშენება, ის მაშინ მომხრე უნდა იყოს ევროპულ კულტურტრეგერებისა, რომელთაც „კულტურულად“ შეაქვთ კულტურა „ველურ“ აზიაში და აფრიკაში. გულახდილად უნდა გამოვაცხადო, რომ ჩვენებურმა სოც.-დემოკრატებმა ავტონომიის პრინციპის უარყოფაში ნამდვილ არქიბურჟუაზიულ მორევში შეტოვებს და ამავე დროს ბურჟუების ავტონომიის მომხრეებს უკაჩინებენ. მალოროსიაიც, იქნება, უკულტურო ქვეყანაა პეტერბურგთან შედარებით მაგრამ რად თხოულობს იქაული სოც.-დემოკრატია ავტონომიას მალოროსიისთვის? ჩემ მოკამათეს რომ გავყვეთ, „უკულტურო“ მალოროსიის „კულტურისანი“ რუსეთისგან გამოყოფას აპირობენ. ამიტომ ყველა ქვეყანაში მარქსისტმა უნდა უშეგონოს „კულტურისანი“ რუსეთს და ხელი შეუწყოს მას მალოროსიაში კულტურის შეტანაში. ამ თემას რომ გავყვე, ჩემი მოკამათე ძლიერ უნერხულ მდგომარეობაში ჩავარდება, მაგრამ მე გგონია, არც ეხლა უნდა იდგეს ის გამარჯვებულის პოზიციაზე.

„დასასრულ“ ჩემ მოკამათეს „არ შეუძლიან ერთი პატარა რჩევა“ არ მომცეს: „იკითხეთ ისევ შაურაიანი ბროშურები და პოპულიარული პროკლამაციები,“ რადგან ჩემს „გონებრივ ავლადიდებას ეს უფრო მეტს შემატებს, ვიდრე მსხვილ მსხვილი ტომები“. გამდლობთ მეგობრულ რჩევისთვის, ბ.ნო „ბალშევიკო“, მაგრამ ნება მიბოძეთ მეც ერთი პაწაწინა რჩევა მოგცეთ: უმორჩილესად გთხოვთ თქვენი რჩევა „შაურაიანი ბროშურებისა და პოპულიარულ პროკლამაციების“ კითხვის შესახებ ჩემს მეტს სხვას აღარ მისცეთ, თორემ იმათაც იგივე დამართებათ „პოპულიარულ პროკლამაციების“ კითხვით, რაც თქვენ დაგმართათ, — ერთმანეთში არევენ ნამდვილ და თანამედროვე ბურჟუაზიულ კულტურას და იძულებული იქნებიან გამართლონ გერმანია, საფრანგეთი და ინგლისი, რომელთაც „კულტურა შეაქვთ“ ტრანსვალში, ჰერეროების ქვეყანაში და მაროკოში.

კიდევ ერთი რჩევა: იქონიეთ გამბედაობა და გულწრფე-
ლად გამოტყდით, რომ თქვენ თქვენი დემოკრატიულ რეს-
პუბლიკითა და კულტურულ ტირანიის თეორიით ისეთ მო-
რევში შესტოპეთ, სადაც ბანაობენ მხოლოდ გატყეული გა-
კეზანი, ტიდემანი, ჩემპერლენი, ინგლისის იმპერიალისტები,
გერმანიის „იუნკრები“, საფრანგეთის ნაციონალისტები და
რუსეთის „ქრეშარიტი პატრიოტები“. სოც.-დემოკრატს კი
მათთან ერთად ქუყუმპალაობა რეაქციონურ-ბურჟუაზიულ არ-
გუმენტების მოკრევის, მგონი, არ შეეფერის. ა—და.

მუშათა პარტია ავსტრალიაში.

ჩვენებური სოციალ-დემოკრატები მართლ-მორწმუნე
კლერიკალებივით ჯიუტობენ ხოლმე, როდესაც ვინმე მათ
შეცდომების ან უცოდინარობის შენიშვნას გაბედავს. მათის
აზრთა, დღევანდელ განმთავისუფლებელ მოძრაობაში „შეგ-
ნებულ“ მონაწილეობის მისაღებად სრული საკმარისია პარ-
ტიულ პროგრამის გახეობიერება და რამოდენიმე იაფ-ფასიან
წიგნაკის ან რუსულ ს.-დემოკრატიულ გაზეთების წაკითხვა.
ლენინმა ბრძანა, პლენაროვმა სთქვა, მარქსს ასე უწერია,
კაუტსკი ამაზე შენიშნავს, — ასეთს გონებრივ ავლადიდებაზე
არის ხშირად აგებული ამა თუ იმ პარტიულ იდეოლოგიის
თეორიული მოღვაწეობა.

ამნაირი დოგმატიკოსობა და ერთხელვე აჩემებულ ავ-
ტორიტეტების წინაშე მუხლის მოყრა აუცილებელია იმათ-
თვის, ვისაც „დრო და მოცალეობა“ არა აქვს იმისთვის,
რომ სხვა ქვეყნების ცხოვრებას დაუკვირდეს, გაიცნოს საქ-
მის ლიტერატურა, კრიტიკულის თვლით გადახედოს თვით
„უდიდეს მოძღვრის“ ნათქვამსაც და ასე, ხანგრძლივის აწონ-
დაწონვის შემდეგ, იმ გზას დაადგეს, რომელიც ჩვენში, ჩვენს
მდგომარეობაში ჩავარდნილ ხალხისთვის უფრო სასარგებლო
და ამიტომ სასურველია.

„არა არს ღმერთი, გარეშე ერთის ღმერთისა და მამადი
მისი ერთად ერთი წინასწარმეტყველია!“ — და ამასთან ერთად
„არა არს მუშათა პარტია, გარდა სოციალ-დემოკრატიისა,
რომელიც ყველგან ებრძვის კაპიტალიზმს და რომელსაც
წითელ დროშაზე მსხვილის ასოებით აქვს წარწერილი „პრო-
ლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ამ შეერთებას „ჩვენი“
დეპუტატი ისიდ. რამიშვილი სათათბიროში ისეთ პროლეტარ
დეპუტატებს ურჩევდა, როგორებიც არიან მურომკევი, ნაბო-
კოვი, ვინავერი, პეტრაფიციკი და სხვები.

მართალი ის არის, რომ მუშათა კლასი ყველგან არსებობს
და რომ მის გამოფხიზლებას და ხალხის საერთო განვითარე-
ბას ყოველგან თან მოსდევს მისი გამოსვლა პოლიტიკურ
ბრძოლის ასპარეზზე ცხოვრებაში უკეთეს პირობების შემო-
საღებად. მაგრამ მართალია არ არის, როდესაც ამბობენ, ვი-
თომც მუშებს ყველგან პარტიულ პროგრამად მიეღოთ სო-
ციალ-დემოკრატების პროგრამა, — ზოგან ეს პროგრამაც მი-
ღებული აქვთ, მაგრამ შეცვლით, ადგილობრივ პირობებთან
შეუარდებით.

ამიტომ განზრახ ან უნებლიეთ შეცდომაში შეჰყავთ
ხალხი ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს, როდესაც ასეთის
ქებით და ზეიმით იხსენიებენ ამ პარტიის „საერთო გავრცე-
ლებას“ და ნამეტან ხშირად გაიძახიან „პროლეტარებო ყვე-
ლა ქვეყნისა, შეერთდით“, იქაც-კი, სადაც ამის თქმა უა-
ღვილოა და მსმენელთ შებრალების ღიმილს ჰგვრის.

დავანებოთ თავი ევროპას, სადაც ჩვენებური სოციალ-
დემოკრატები მაშინვე გერმანიაზე მიგვითითებენ, — გერმანია
გორი ძლიერია იქ ს.-დემოკრატიული პარტიაო, დაგზნებოთ
თავი თვით ინგლისსაც, სადაც მრეწველობის სოციალ განვი-
თარების მიუხედავად, ს. — დემოკრატიულმა პარტიამ ვერ მოი-
კიდა ფეხი და ვერა! დახედოთ, რა გზას ადვიან მუშები ავ-
სტრალიაში, სადაც ხალხმა მეტად განვითარებული ეკონო-
მიური და პოლიტიკური კანონდებლობა შემუშავა და სადაც
ეკონომიური განვითარება სწრაფის ნაბიჯით მიდის ახალ
საზოგადოებრივ წყობილებისკენ, რასაც ევროპაში კიდევ
ბევრი დრო დასჭირდება, ბევრი შრომა და სისხლიც შეეწი-
რება. რა იდეალები ეხატება იქ მუშებს?


ავსტრალიაში საყოველთაო საარჩევნო უფლება არსე-
ბობს და დეპუტატების ერთი მესამედი რიცხვი მუშათა კლასის
წარმომადგენელია (75 დეპუტატიში 25 დეპუტატი მუ-
შების არის) სენატის 46 წევრი ში კი 14 მუშების არჩეულია.
ავსტრალიის მუშები ფხიზლად ეკიდებიან არჩევნებს და გაფა-
ციციებით თვალ-ყურს ადევნებენ მთავრობისა და პარლამენტის
ან სენატის მოქმედებას: ყოველ დემოკრატიულ სახელ-
მწიფოში ხალხი თავის არჩეულების და მმართველების ყოველ
ნაბიჯს უკვირდება და თავის მსჯავრსა სდებს.

და, აი, ავსტრალიაში მუშათა პარტიას შემდეგი მოთხო-
ვნილება აქვს წამოყენებული უკანასკნელ საარჩევნო აგიტა-
ციის დროს:

- 1 — ავსტრალიაში თეთრკანიანთა ინტერესების დაცვა.
- 2 — საავადმდელო სამედიცინო სასამართლოები. — 3 მოხუ-
ცებულთა უზრუნველყოფა. — 4 მონაპოლიების მთავრობის
ხელში გადასვლა. — 5 სახელმწიფო მილიცია და ავსტალიის
საკუთარი ფლოტი. — 6 სახელმწიფო სესხების შეზღუდვა. — 7
ავსტრალიის ნავონობის მფარველი კანონმდებლობა. 8 —
სახალხო ბანკი, სიცოცხლის და ცეცხლისაგან სახელმწიფო
დაზღვევა, 9 — საპატენტო (აღმოჩენებზე) კანონმდებლობა, —
10 საერთო სამრეწველო კანონმდებლობა.

1904 წლის განმავლობაში მუშათა პარტიამ ერთხელ
მოახერხა თავის საკუთარ სამინისტროს შედგენა.

ამ მოთხოვნათა პირველი მუხლი, შეიძლება, ზოგიერთს
ეოცოს, იგი არა თეთრ-კანიან, ადგილობრივ, მკვიდრ მუ-
შების წინააღმდეგ მიმართულია. მკვიდრი, რომელსაც ცხო-
ვრებაში ნაკლები მოთხოვნილება აქვს, ნაკლებ ხელუფასს სჯერ-
დება და ამ ნაკლებ ხელუფასში იმ დროსავე შრომობს, როგორც
თეთრკანიანი ევროპეელი მეტფასში. ევროპეელი მუშებიც რაკი
სხვაფერე მკვიდრთ კანკურენციას ვერ უწევენ, ცდილობენ კა-
ნონის შემოღებით ჩამოიშორონ მოქიშვე და ყველა სამუშაო
თვითონ დაისაკუთრონ. აქ სიტყვა „პროლეტარებო ყველა ქვე-
ყნისა შეერთდით“, დროებით ავიწყდება მუშას რომელიც
ახალ მონაპოლის შესაქმნელად და მოქიშვის ჩამოსაშორებ-
ლად ისევე იქცევა, როგორც მფარველობითი კანონების შემომ-
ღები მექარხნე და კაპიტალისტი. ორივესი გულის თქმა ერთია,
ორივეთავის ეგოისტურკეთილდღეობის უზრუნველყოფის სურ-
ვილს ვერ ასცდენია. წრეულს მაგ, ავსტრალიის პარლამენტში მუ-
შათა დეპუტატების მხრე დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია
გენ. ბოლტას წინადადება ინგლისიდან ავსტრალიაში რამო-
დენიმე ათას უსაქმოდ დარჩენილ მუშის გადმოყვანის შესა-
ხებ. ავსტრალიის მუშებმა განაცხადეს, ჩვენშიაც არიან უსა-
ქმოდ დარჩენილი მუშები და საქმე ჯერ იმათ უნდა გაეუწი-
ნოთო. ახლანდელ პირობებში გარედანაც თუ ჩამოვიყვანეთ
მუშები, ადგილობრივ და ახლად ჩამოსულ მუშების მდგო-
მარეობა კიდევ გაუარესდებაო.



„თავის“ ეგოსტურ ინტერესების დაცვა და გარეშეის არაფრად ჩაგდება მხოლოდ ავსტრალიელ მუშების ხვედრი როლია. ამერიკაშიაც მუშები ითხოვენ ჩინელ მუშების განდევნას, ისევე იმავე მიზეზით, — ჩვენზე უფრო იაფად მუშაობას ახერხებენო. ამავე მიზეზით არ უყვართ ევროპაში იტალიის მუშებიც და საზოგადოდ ყველგან მუშები დღვილად ივიწყებენ წითელ დროშაზე წარწერილ სიტყვებს, — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ — როდესაც ამის დავიწყება ეკონომიურად სასარგებლოა.

ეს სიტყვები ავიწყდებათ იმ რუს „შეგნებულ“ მუშებსაც, რომელნიც რუსეთიდან ჩვენში ჩამოდიან საქმის საზოგადოებად და იმ სამსახურში დგებიან, სადაც მათ იღებენ, როგორც „რუსებს“, სადაც „ქართველებს“ არ იკარებენ. ამ სიტყვებს ივიწყებენ რუსი გლეხები, რომელნიც შუაგულ, რუსეთიდან გადმოდიან კავკასიაში და იმ მამულებში დგებიან რომელიც უმიწაწყლობით შეწუხებულ ადგილობრივ მკვიდრ ხალხსაც სჭირია, — ამ სიტყვებს ივიწყებენ ზოგიერთ პარტიის მეთაურ — იდეოლოგები, როდესაც ქართველს მის ეროვნულ დაჩაგვრას ხმის ამოდებას უკრძალავენ და ამით ხელს უწყობენ ამ ჩაგვრის გაძლიერებას.

ქართველი მუშა უსაქმოდ დარჩეს და რუსმა კი მისი საქმე მიიღოს; ქართველი გლეხი უმიწოდ იტანჯებოდეს და მისი სამეზობლო ადგილი რუსეთიდან გადმოსულმა გლეხმა დაისაკუთროს, ქვეყნის გამგედ ცენტრალისტურად მოწყობილ სახელმწიფოში შუაგულ რუსეთის წარმომადგენლები გამოვიდნენ, — ეს ვერაფერი „პროლეტარების შეერთებას!“

და ამაზე ხმის ამოუღებლობა და გარეთ ტაბლის გატანა, როდესაც შინ ბავშვი შიმშილით ყვირის, — ეს ხომ ქვეყნის სამსახური კი არა, ეს ქვეყნის ღალატი ან ბავშვური უგნურება!

მაგრამ რას ჩააგონებთ იმას, ვისაც კრიტიკულ მსჯელობის ნიჭი დაუბნეს პარტიის ბოზობლა — მეთაურებმა, ან თვით ამ ბოზობლებს, რომელთაც ჰკონიათ, რომ „არ არის პარტია, გარეშე ერთად ერთის ს. — დემოკრატიულ პარტიისა და ეს ბოზობლები პარტიის ერთად ერთი ნამდვილი მოციქულები, ხალხის ერთად ერთი ნამდვილი ქომაგები!“

ურაგუღო

აზარული საქითხი

2

ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებას თავისი კანონები აქვს და ამ კანონების არსებობა თუ შეცვლა ხალხში მომქმედ სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიის სურვილზე დამოკიდებული არ არის; პოლიტიკურ პარტიას შეუძლია დააჩქაროს ან შეაჩეროს საზოგადოებრივ განვითარების პროცესი, ამ განვითარების მოსპობა ან ახალ რომელსავე გზაზე დაყენება პარტიას არ შეუძლია. ამიტომ, როდესაც პოლიტიკურ პარტიის წარმომადგენლები ხალხს არწმუნებენ, მოგვეკედლეთ, ჩვენი პარტიული პროგრამა მიიღეთ და ცხოვრებაში არსებული ყოველივე უსამართლობა მოგესპობათო, ამ სიტყვების სიმართლე ან სიმტყუნე დამოკიდებულია ხოლომე იმაზე, თუ როგორის სისწორით გამოხატავს ხსენებული პარტიული პროგრამა ხალხის ცხოვრებას, მის განვითარების საზოგადო კანონებს და იმ ადგილობრივ, განსაკუთრებულ პირობებს, რომელშიაც ესა თუ ის ხალხი არის ჩაყენებული. ამიტომ პოლიტიკური პარტია, რომლის პროგრამაც არ ეთანხმება ცხოვრებას, ბოლოს და ბოლოს იძულებული გახ-

დება პროგრამა შესცვალოს და იგი ცხოვრებას დაუახლოვოს, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი მთელი პარტიის გარიყავს და დაიშორებს.

ამნაირ მდგომარეობაში ჩავარდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია აგრარულ საკითხში, რომელსაც იგი თავის დოგმის მიხედვით სწყვეტდა თავისებურად, თუმცა ყოველ გარეშე ადამიანისთვის და, ალბად, თვით პარტიის უფრო შეგნებულ წევრებისთვის იმ თავითვე ცხადი იყო, რომ ამ საკითხის სოციალ-დემოკრატიული გადაწყვეტა ხალხის საზოგადოებრივ განვითარების მიმართულებას არ ეთანხმდებოდა. დოგმის მიხედვით, სოციალ-დემოკრატები რუსეთში აგრარულ საკითხს ნამეტან მცირე მნიშვნელობას აძლევდნენ. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ მხოლოდ ქალაქ ადგილების მუშა ხალხი და თვით ამ მუშა ხალხის უფრო ხელ-მოკლე ნაწილია ის ძალა, რომელიც რუსეთის მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას გარდაქმნის, გლეხობა რეაქციონერ ელემენტად მიიწინადათ, რეაქციონერად, როგორც პოლიტიკურ რევოლუციის დროს, ისე სოციალურ რევოლუციის დროსაც.

ცხოვრებამ ნათლად დაამტკიცა სოციალ-დემოკრატების შეცდომა და ახლა ყველა სოციალ-დემოკრატი, პირიქით, იძახის, გლეხობა რევოლუციის სათავეში უდგია და მხოლოდ იმ პარტიას შეუძლია არსებობა, რომელიც გლეხობის სურვილებს გამოიცნობსო.

ამიტომ სოციალ-დემოკრატები იძულებული გახდნენ თავიანთი აგრარული პროგრამა რამდენაღმე შეეცვალათ და იგი სოციალისტ-რევოლუციონერების პროგრამისათვის დაეახლოვებინათ.

სოციალ-დემოკრატების შეცდომას მიზეზად გაუხდა სოფლის გაუცხოვლობა. მათის აზრით ეკონომიურ ცხოვრების განვითარება სოფლად იმავე უცვლელ კანონებს ემორჩილება, რომლებიც ქალაქის მრეწველობას საფუძვლად უდგანან და რომლებზედაც აგებულია თვით მარქსის მოძღვრება. ეს არის ერთის მხრივ, წარმოების კონცენტრაცია და, მეორეს მხრივ, წვირილ კაპიტალისტების პროლეტარიაზაცია. ამ ორ ცნებას გაჩეთ მარქსიზმი და სოციალ-დემოკრატია, როგორც მარქსის მოძღვრების გამოხატველი, არ არსებობენ. წვირილი წარმოება ვერ უძლებს მსხვილ წარმოების ქიშპობას ღ იღუპება, საქმე მსხვილ წარმოების ხელში გადადის, — ამის გამო მსხვილი წარმოება უფრო მსხვილდება, წვირილი მწარმოებელი კი მუშად ხდება. თან და თან მსხვილი წარმოება სრულდება მოსპობს წვირილ წარმოებას, და ხალხის დიდი უმეტესობა შესდგება ისეთ პირთაგან, რომელნიც იძულებული იქნებიან კაპიტალისტთან შრომით თავი ირიჩონან, რადგანაც საკუთარ საქმის დასაწყებად მათ არ ექმნებათ არც საწარმოო იარაღი და არც კრედიტი. მიწა-ქარხნები და საზოგადოდ მთელი საწარმოო იარაღი, თვით ფულიც თან და თან რამდენიმე კაცის ხელში მოაყრის თავს (კონცენტრაცია) და ამ რამდენიმე კაცთან იმუშავებს ხალხი, მოკლებული ცხოვრების ყოველივე სხვა წყაროს (პროლეტარიაზიცია).

მართლაც, ასეთ განვითარების ნიშნებს ცხადად ვხედავთ ქალაქის წარმოებაში, მრეწველობაში; განსაკუთრებით ჩრდილო ამერიკის შტატებში ჩვენ გვაოცებს მდიდარ ტრესტების შედგენა და მათი მოქმედება. რამდენიმე მდიდარი მწარმოებელი აერთებს წარმოებას, სხვებთან შეთანხმებით ჰყიდის ნაწარმოებს და ფაქტიურად ჰქმნის მონოპოლიას, რომელიც ყოველ ამ შეთანხმების გარეშე დარჩენილ წარმოების

არსებობას შეუძლებლად ხდის. ასე შორს რომ არ წავიდეთ, თვით რუსეთშიაც ჩვენ ვხედავთ ხშირად ასეთსავე შეთანხმებას და პატარა სახელოსნოებსა და წვრილ ქარხნების ადგილას უზარმაზარ ქარხნების აგებას, წარმოების გამსხვილებას, ერთ ქარხანაში მეტ მუშა ხალხის შეგროვებას.

მაგრამ მრეწველობის განვითარებაში რუსეთი სამრეწველო ქვეყნად ვერ გახდა. მართლაც, საკმარისია შევადაროთ რუსეთის მდგომარეობა თუნდ გერმანიის ან საფრანგეთის მდგომარებას, რომ დავრწმუნდეთ, თუ რამდენად დიდია რუსეთში სოფელელების მნიშვნელობა და რა მცირედია ქალაქის სხვა და სხვა წარმოებაში გართულ მომუშავეთა რაოდენობა.

ი ყ რ:	საფრანგეთში.	გერმანიაში	რუსეთში.
სოფლის მეურნეობაში.	6.535.000	8.293.000	18 245 000
მრეწველობაში.	4.575.000	8.281.000	5.088.000
ვაჭრობაში.	2.166.000	2.339.000	3.346.000
კერძო სამსახურში, ხელზე მოსამსახურე და სხვა	1.115 000	1.339.000	3.332.000
სულ	14.363.000	20.252.000	29.011.000

პროცენტობით რომ ვიანგარიშოთ, იქნება.

	საფრანგეთში.	გერმანიაში.	რუსეთში.
სოფლის მეურნეობაში.	46	41	63
მრეწველობაში.	32	41	18
ვაჭრობაში.	15	12	6
კერძო სამსახურში, ხელზე მოსამსახურე და სხვა	7	6	11

გერმანიაში, სოფლის მეურნეობაში და ქალაქის მრეწველობაში თანასწორი მომუშავეთა საფრანგეთში მრეწველობა ცოტათი სქარბობს სოფლის მეურნეობას, რუსეთში კი სოფლის მეურნეობაში გართულთა რაოდენობა ქალაქელებზე სამახვივარჯერ მეტია.

მაგრამ ეს ციფრებიც საქმის ნამდვილ მდგომარეობას არ გამოხატავენ. ქალაქის ყოველ ას მომუშავეზე მოდის მათი ოჯახის წევრი:

	რუსეთი	გერმანია
სოფლის მეურნეობაში	414	107
მრეწველობაში	140	141

რუსეთის სოფლის მომუშავეს თითქო მეტი ოჯახის წევრი ჰყავს თან, ვიდრე ქალაქის მუშას. ამის მიზეზი ის არის, რომ ქალაქ ადგილებში მყოფ მუშების დიდი ნაწილი თავის ოჯახს სოფლად აჩერებს, რადგანაც თვითონ მხოლოდ დროებით არის გადასული ქალაქში, სოფელთან კავშირს არა სწყვეტს და თავის თავს სოფელად გრძნობს, სოფლის იდეალებს ემსახურება

ახლა მომუშავეთა რიცხვს მათი ოჯახების წევრთა რაოდენობაც რომ მივუმატოთ, ჩვენ დავინახავთ, რომ რუსეთში სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებულია ხალხის 74⁰/₀, საფრანგეთში კი მხოლოდ 44⁰/₀ და გერმანიაში 31⁰/₀.

სოფლის მეურნეობასთან რუსეთში დაკავშირებულია აგრეთვე წარმოების ზოგიერთი სხვა დარგიც. ვაჭრების ერთი ნაწილი სოფლის ნაწარმოების ვაჭრობით საზრდოობს, რკინის გზებზე აუარებელი სოფლის ნაწარმოები იგზავნება.

ამნაირად რუსეთში ხალხის ისეთი დიდი ნაწილია გართული სოფლის წარმოებაში, იმდენი ადამიანია დამოკიდებული ამ წარმოებაზე, რომ ქალაქის მრეწველობის და ქალა-

ქის მუშა-ხალხის უპირატეს მნიშვნელობაზე ლაპარაკს ვერ შეიძლება

რამდენად გავრცელებულია რუსეთის სოფელში კაპიტალისტური წარმოება, რამდენად ძლიერია იქ ამიტომ პროლეტარიატის რაში და ვის უნდა მიეწეროს სოფლის მოძრაობა, რომელმაც ქარხნის მუშების მოძრაობას გაასწრო?

აი, ციფრები:	საფრანგეთი	რუსეთი
მეურნეობაში მომუშავეთა რიცხვი	6.545.000	18.245.000
სამეურნეო მუშა	2.890.000	2.723.000
ყოველ 100 მომუშავეზე მოდის ქირის მუშა	44	15

ქირით მომუშავეთა რაოდენობა შედარებით უფრო დიდია ბალტიის მხარეში, პოლონეთსა და ციმბირში, აგრეთვე გერმანელ კოლონისტებში და კახაკებში. ამიტომ თვით შუაგულ რუსეთში ქირით მომუშავეთა რიცხვი პროცენტობით შემოხსენებულზედ ბევრად ნაკლები უნდა ვიანგარიშოთ.

ეს გარემოება და საზოგადოდ სტატისტიკური გამოკვლევები გვიბრძვიტებენ, რომ რუსეთში მიწას კაპიტალისტურ წესით არ ამუშავენ და რომ მის დამუშავენას ადგია ის, ჭინკ ზედ ცხოვრობს, ვის ხელშიაც არის ეს მიწა. სოფლად კაპიტალიზმზე ხმის ამოღებაც არ შეიძლება.

როგორია მიწის დანაწილება სოფლებში? რთულ სტატისტიკურ ციფრებს ავი რომ დავანებოთ, საკმარისია იმის აღნიშვნაც, რომ კერძო მემამულეები ყოველთვის თვითონ არ ადგიან სოფლის მეურნეობას თავიანთ ადგილებში და მიწები დიდ ნაწილს ნამდვილ მომუშავეებს იჯარით აძლევენ. დაახლოებით რომ იანგარიშოს ადამიანმა, შუაგულ რუსეთში კერძო მემამულეების 44⁰/₀, ე. ი. თითქმის 1/2 იჯარით იძლევა სოფლის მეურნეებზე, ზოგიერთების გამოკვლევით კი ამაზე მეტიც. ამასთან აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ საიჯარო ადგილების სივრცე და რაოდენობა თან და თან მატულობს. ისიც თუ მივიღეთ მხედველ იმაში, რომ მსხვილ მემამულეთა მიწის დიდი ნაწილი ტყით დაფარული ან მეურნეობისთვის უვარგისია, დავრწმუნდებით, რომ სოფლის მეურნეს, გლეხს რუსეთში თითქმის მთელი გამოსადეგი ადგილი უქირავს, ზოგი საკუთრებად, ზოგი სანადელოდ და ზოგიც იჯარით.

ქვეყნის კეთილდღეობა რუსეთში დამოკიდებულია სოფლის კეთილდღეობაზე, სოფელთა სურვილი ქვეყნის სურვილი არის და თუ სოფლელების ცხოვრება ცუდ პირობებში არის ჩაყენებული, მაშინ მრეწველობის ვერავითარი აყვავება ხალხს ვერ გააძღობს. ადამიანს ქვეყნის სიკეთე თუ უნდა, თავისი უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს სოფელს, გლეხს, და არა ქალაქის მუშას, რომელიც რუსეთში ხალხის დიდ უმცირესობას შეადგენს. სახელმწიფო დანტერსებულთა იმაში, რომ რამე ნაირად გააუმჯობესოს სოფლელების ქონებრივი კეთილდღეობა და ისინი გონებრივადაც განავითაროს.

გლეხები რუსეთში ბატონ-ყმობისაგან რომ განათავისუფლეს, მთავრობას მიზნად ჰქონდა მემამულეთა სარგებლობა, რის გამოც სანადელოდ გლეხებს საკმარისი მიწა არ მისცეს და თვით სანადელო მიწას მემამულის სასარგებლოდ იმდენი გადასახადი დაადგეს, რომ მისი გადახდა თვით მიწის შემოსავლით ყოველად შეუძლებელი გამოდგა. სანადელო გადასახადი იჯარასთან შედარებით თითქმის ერთი ორად უფრო დიდია..

სანადელო მიწის სიცოტავე გლესს აიძულებდა იმავე მემამულისაგან აელო იჯარით დანარჩენი ადგილი და მემამულისათვის ეშრომა.

მიწის სიცოტავეს და საიჯარო ფასების სიდიდეს მიემატა კიდევ მთავრობის ფინანსიურ სისტემის უფარვისობა. არა პირდაპირ გადასახადებზე აგებული სახელმწიფო ბიუჯეტი მთელ თავის სიმძიმით აწევბა გლესობას, რომელმაც თითო ოჯახზე წლიურად თითქმის 36—37 მანეთი არა-პირდაპირი გადასახადი უნდა შეიტანოს ხაზინაში და საზოგადოდ 700 მილიონ არა-პირდაპირ გადასახადებში გლესობა სულ ცოტა 640 მილიონ მანეთს იხდის ყოველ წლიურად.

ამიტომ სოფლის მეურნეობა დაეცა და დაქუცმაცდა, მსხვილ ფეხა საქონელი გლესობას შეუმცირდა და გახშირდა შიმშილობა, რომელიც ძირს უთხრის თვით ხალხის არსებობასაც. სტატისტიკური ცნობები გვიმტკიცებენ, რომ ახლა რუსეთში სოფლად წინანდელზე ნაკლები ბავშვები იბადებიან და მეტი იხოცება,—ხალხის ზრდა შესუსტდა.

აქ საჭირო არ არის სოფელელთა უკიდურეს მდგომარეობის აწერა, თუმცა იგი მდიდარ მასალას იძლევა სააგიტაციოდ,—ჩვენ წერის სააგიტაციო ხასიათი არა აქვს. ჩვენთვის საკმარისია მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ რუსეთში ხალხის მთელი წლიური ნამუშევარი თუ ჭიანჭარივით, გამოვა, რომ ხალხი ყოველწლიურად 6298 მილიონ მანეთის სიმდიდრეს ჰქმნის, ამაში 38% სოფლის მეურნეობის შექმნილია, ე. ი. სოფლის მეურნეობა ხალხის მთელ შემოსავლის 1/3 ნაწილს აკეთებს,—მას საერო გადასახადებისაც ერთი მესამედი უნდა რგებოდა, ნამდვილად კი მას 38%-ის მაგიერად ხვდება გადასახადების 82,8%! ეს ცნობა ჩვენთვის აშკარად ხდის, რომ სოფელელების მდგომარეობა ქალაქელთა მდგომარეობასთან შედარებით უფრო ცუდია და რაკი სოფ. ლელები რიცხვითაც მეტად სჭარბობენ ქალაქების მცხოვრებლებს, ამიტომ არ შეიძლება ადამიანმა სოფელი უყურადღებოდ დასტოვოს და არ ეცადოს იმ ზღის გამოძებნას, რომელიც შესძლებს სოფლად კეთილდღეობის შეტანას.

სოფლის მნიშვნელობა სოციალ-დემოკრატებმა ახლა შეიგნეს,—ბურჟუაზიულ წრეებს იგი დიდი ხნის შეტყობილი ჰქონდათ,—თვით მრეწველები ათანაირ შუამდგომლობით ცდილობდნენ მთავრობის ყურადღება მიეპყრათ სოფელზე,—სოფელი თუ ღარიბია, მრეწველობის განვითარებას მკვიდრი წინადაგი არ ექნებაო,—ამობდნენ მექარხნეები. მთავრობაც ხედავდა, რომ სოფლის გაღარიბება საშიშ მდგომარეობაში აყენებდა რუსეთის სახელმწიფო ფინანსებს... მაგრამ ბურჟუაზია და მთავრობაც ამ საქმეში გაბედულად მოქმედებს ვერ ახერხებდნენ. სოფლის შველა მათ ისეთ საშუალებებით უნდოდათ, როგორც არის, მაგალითად, გადასახლება ციმბირში ან კავკასიაში, დარჩენილ გადასახადების პატიება, ან მრეწველობის ხელოვნური განვითარება,—დაღარიბებულ სოფელელებისთვის ქარხნებში ლუკმა-პურის გასაჩენად...

სოციალ-დემოკრატები სოფელელებს ჩამონაქრების მიცემას ჰპირდებოდნენ და ეგონათ, რომ ამ ჩამონაქრების დაბრუნება ახლანდელ უკიდურეს მდგომარეობიდან გამოიყვანს გლესობას, ეგონათ აგრეთვე, რომ ამ ჩამონაქრების იმედი ისე გაიტაცებდა სოფელელებს, ისეთ ბედნიერებად მოეჩვენებოდათ, რომ მათ სოციალ-დემოკრატის მომხრეებად გადააქცევდა. დღეს ჩამონაქრების ხსენებაც ღიმილს გვევრის, შარშან კი საამისო პოლემიკაში ბევრი მელანი და ნენერვა დახარჯეს ჩვენებურმა სოციალ-დემოკრატებმა.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ რუსეთში ხალხის დედნე მუშაობა სოფლის მეურნეობით იკვებება, რომ სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური წარმოება ფემოკიდებული არ არის; სოფლის მეურნეობაში ჩვენ ვერ შევნიშნეთ კაპიტალიზაციის ნიშნები და დავაწყუნდით, რომ სოფელელების მდგომარეობა იმ მხრივაც სავალალოა, რომ მიწის სიფიწროვესთან ერთად მათ შედარებით მეტი სახელმწიფო გადასახადი ხვდებათ. სოფლის მეურნეობის უფრო დაწვრილებით დადარება მრეწველობასთან კიდევ უფრო განამტკიცებს იმ აზრს, რომელიც წინად გამოუთქვამთ,—რომ რუსეთის განმთავისუფლებელ მოძრაობაში პირველად ბრძოლის ასპარეზზე ქალაქის მუშები გამოვიდნენ, მაგრამ, რაკი ქალაქის მუშები ხალხის მხოლოდ უმცირეს ნაწილს შეადგენენ, ამიტომ დემოკრატიულად მოწყობილ სახელმწიფოში ან სახალხო მოძრაობაში იმ კლასის ან იმ ჯგუფის აზრი გაბატონდება, რომელიც სახელმწიფოში უმეტესობას შეადგენს, და ამიტომ ქალაქის მუშათა იდეოლოგიები იძულებული გახდებიან ადგილი დაუთმონ სოფელელების იდეოლოგიებს, „პროლეტარიატის თვალთახედვის ისარი“, რომელიც ახლა სოციალ-დემოკრატებს ენაზე აკერიათ,—რუსეთში სოფელელთა მშრომელთა „თვალთა ხედვის ისრის“ წინ გაჰქრება.

არავითარ პარტიულ პრაგმაზს და პარტიის დროებითს გაძლიერებას არ შეუძლია სოფლის მეურნეობაზე აგებული რუსეთი კაპიტალისტურ და სამრეწველო ქვეყნად აქციოს... აგიტაციით, წევრების შოვნით, საპარლამენტო ბრძოლით, კლასიურ შეგნებით ან თუნდ შეიარაღებულ აჯანყებითაც ამის მიღწევა არ შეიძლება.

კ უ რ კ ა ს ქ ო რ წ ი ლ ი


(დასასრული).

IV

იმავე დღეს დაწმომ ერთ მუშას დაუძახა და მესამე ოთახი გააწმენდინა. მეორე დღეს კურკა და მამა ამ ოთახში დასხდნენ. მესამე დღეს კურკა ისევ ჩუსტების კერვას შეუდგა და მისი ცხოვრებად ჩვეულებრივ კადაზოტში ჩადგა. დიდიანს სდასამოდის თავის ზატარა ფინურულში იჯდა და განუწყვეტლად დაგლეჯდა და ტუტუკან ჩუსტებს ჩასტკერდა. ცოლის შერთავის კურკა ოცნების მორკეში დატურჯდა და დაწმუნებული იყო, რომ ოჯახს ამის უფერულ ცხოვრებას შესცვლიდა სიცოცხლეს კურკებიდან და ბედნიერებას მიაჩქებდა, მკრამ კესა დმოხნდა, რომ ის წინანდეკივით ობოლი, მარტო, ეული, უბედური და ეველასგან დაბრუნებული კურკა იყო. მართლაც, ბასანში მას მისხრად დადრ იკედებდნენ, თავში დადრ უფაჩუნებდნენ და კლანჭებში დადრ ჰკებდნენ, მკრამ მისი უბედურების უმთავრესი მიზეზი—მარტობას და ობოლობას მიიჩნდნენ მოისმა. დადლი-დაქანტული კურკა სადამოხეშინ ბრუნდებოდა, მკრამ ოთახში შესვლა ცხვენდა და კეტსოგობდა, თათქა დაწმოსთან სტუმრად მოვიდა და დიდიხნით დაწმუნებული იყო.

პირველ ხანებში მამა დამინებადის დაწმოს ცოლთან იყო ხოლმე და მარტოდ დაწმენილ კურკას არავითარ უურადებას არ აქნებდა. დაწმოს ზატარა ბიჭი ერთ ჭიქა ჩაისს და ორ ნაჭერ მურს გამოუტანდა და თავს მიაჩებდა. კურკა კი მთელი საათობით მარტოდ-მარტო იჯდა ბნელ ოთახში და მამის გამოსვლას ელოდა, მკრამ მამა დაწმოს განათებულ ოთახში იჯდა, დაზარაკობდა, იცო-

* იხ. „ივერია“ № 18.



ნდა, მისაჩუქრებდა და, როცა ძილის დრო მოვიდოდა, უნებ გუნებას გამოიცხადებდა, ზირსასე მთაღუშავდა, შუბლს შეიჭმუხუნებდა და ისე დაწვებოდა და დაიძინებდა ხელმე, რომ კურკას ხმასაც არ გასწამდა.

— მაშა! — უთხრა ერთხელ კურკამ, — რათა ხარ დაღონებული, ვინ გაცხადებს?

— არავინ, — უპასუხდა მიუგო მაშამ.

— ძინება შე გაწვენი რამე, ძინება გინდა რამე?

— არაფერიც არ მინდა, გამსარებე თავი! — დაუუვირა უნებ მაშამ და ზირსასე აწითო. — დამსარებე თავი! შენი სხვა არაფერიც არ მინდა!

— ვა, რა იყო, რა დაგეპაროს!

მაშამ ხმა არ გასცა, გარეთ გავიდა და აივანზე ჩამოჯდა.

კურკას გული დასწვდა და თვალეზზე ცრემლი მოაწვა, მაგრამ თავი შეიმაკრა და ორი დღის განმავლობაში მაშასთან ხმა აღარ გაუცია.

დარწო უფროდ დღე ერთი საათით სავალად მიდიოდა და დუქანს კურკას უტოლებდა. კურკას თანხანობი იჭვი დრდინდა, თავში ათისი ფიქრი მისდებოდა, მაგრამ ჩუმად იყო და ხმას არ იღებდა.

ერთხელ დარწომ დუქანს დაეკრტა კურკას მანძელ და თვითონ სხვაგან წავიდა. სავალზე კურკამ ორივე დუქანი დაკრტა და თვინდურულმა შინისკენ გასწია. შინ რომ მივიდა, დაღმებულად იყო. გაბოხს სხელში სანთელიც არ ეწითო. კურკა ეზოში შევიდა და აივანისკენ გასწია, მაგრამ უნებ შეჩერდა, თავისდაუნებურად ზატარა ფიქრულს ამოეთვარა და ხმაურობას დაუგდო უფრო.

— ნეტავი ის დღე არ გამოთენებოდა, როცა მე შენ შეკვდი, — ტირილით მისთქვამდა დარწომ ცოლი თანხში.

— ნეტავი გვირგვინი გამსაგებოდა და შენ გო არ წამოგელოდი ი-ი... მე უბედური რა დღეში ჩავარდი-ი-ი...

— კარგი, განუმიდი, შეთქი, თორემ მე ვიცი შენა! — მოისმა დარწომ ბოხი ხმა.

— არ გაგწმუდებო... გაგულ და მთელ ქვეყანას შეგატორობინებ თქვენ ოინებს! რად უნდა გაგწმუდე! რა მჭებს გასაწმუდებელი! სანამ მაგ გომბიო მავანწაღას არ მომამორებ, ერთ დღესაც არ გაგწმუდე! ამ სხელში. თქვე უსინდისობა, თქვენა! შე სხვაგან მის. ტუმრებ და ამ გომბიო რამხადან გეურკურებო, განა! დამხადე... დამხადეთ... ეგულს ვერ უფო... სუეუელათურს ვიტყვი!..

— განუმიდი, შეთქი, ქალო! — იხურობოდა დარწომ, მაგრამ იმისი ცოლიც არ ჩუმდებოდა და უფრო და უფრო ცხვრობდა.

თავზარდაცემული, გაშეშებული და ენა ჩამძვრალი კურკა ერთ დღეობზე იდგა და არ იცოდა, შინ შესულიყო, თუ უკანვე გაბრუნებულიყო. მუხლები უკანკალებდა, შუბლზე ცივმა თფლმა დასს, ეუღლი ბღღმა მოაწვა და ზირზე დამული ასდებოდა. თანხში ხმურობა თანდათან მიწვდა. ხნავამოშვებით მისდებოდა სუსტი ქვითინი და მოისმობდა. კურკას შინ შესვლა უნდოდა, მაგრამ რიადისა შეშინდა, ვიადისა შეჩერებდა და ბარბაცით ისე უკან გამობრუნდა. ის დაღრავის ხედავდა. დაღრავი ესმობდა და არც ის იცოდა, საით და რისთვის მიდიოდა. გამობრუნებული, მოშლილი და დაღვრვილი უტოლოვდებოდა და დიდი, ერთ ქუჩიდან მეორეზე გადადიოდა და უუღლი მოწვლილი ბღღმის ძეგის იმაგრებდა. სამჯერ თუ თხვჯერ ვიადრეებს დაეკახა, რამდენჯერმე ვიადრეებმა გადახადეს და ერთხელ კინაღამ ეტლის ქვეშ მოხვევა, მაგრამ ის მარცხრავის არ აქცევდა უურადლებს და ბარბაცით წინ მიიწვდა. დაქანებული, დაღლილი და თფლში გაწურული კურკა ბღღის ერთ დუქანს წინ შედგა და წვალი მოითხოვა, მაგრამ შედუქნი ცივად გადახადებდა, დაუბედურა და კარები ცხვრწინ მიუკეტა. კურკა ტრიატარის ხმარზე ჩამოჯდა და მიხედ-მოიხედდა. იმ ქუჩისზედ კურკა არსდროს

არ უფიქრობო. ეგულათური მისთვის უნდობი იყო. ქუჩა კბელი იყო და ორივე მხარეზე თითო სართულიანი სახლები იყო ჩამოშენებული. — აღბად ორთაქალაქი, — ფიქროს კურკამ და ცოცხლ ხმას შეშედეგ ისე ეცხა გაუგვა.

ქალები ჩხუდოდა, მიუწინა და მიწვდა, მაგრამ კურკა მანც უთავბოლოდ ქუჩებში დადიოდა და ბინას ეძებდა. შინ წსვლა არ შეეძლო: მაშამ რცხვენოდა, ეშინოდა და კრიდებოდა. ბღღის რამეულოდაც ბადს შიადგა. მოაჯირზე გადავიდა და ხას ძიროში წამოწვა. მეორე დღეს დუქანს ადრე გადო და მიშობას შეუდგა. დარწომ გვიან მოვიდა. სავალზედის ერთმანეთისთვის ხმა არ გაუციათ. სავალზე კურკას მაშო შინ არ დახვდა. შეუდამე მოატანა, მაგრამ მაშო მანც არ კახნდა, შეწმუხული კურკა წამაწმუხი ქუჩაში გამდებოდა და გამეღელ-გამომეღელეებს ცქერდებოდა. მთელი საათი იდგა აღაფეთი კარებთან. ორჯერ თუ სამჯერ გავიდა ქუჩის ბღღოში, შეზობლებთანც შეიხედა, მაგრამ მაშო არსად იყო. კურკას შინ დაბრუნდა, ტანტზე მიწვა და მიდინა. შეუდამე გადასული იყო, როცა კურკას ძილში ხმაურობა მოესმა. აღაფეთის კარებთან ერთი განდრდა. ცოცხლ ხმას შემიღებ მაშომ კარები შეიძალო და გაწერდა. ვიადრც უნდობი აღაფეთის კარებში უკანვე გავიდა.

— მაშო, შენა ხარ? — ხმის კანკალით იკითხა კურკამ და ასინოი გახვდა.

შუა თანხში სავალწილო კაბაში გაწმუხობილი მაშო იდგა და ამდგურული თვალეზით აქით-იქით იხედებოდა.

— სად იფივი ამ ხნამამდის? — მოწმინით ჭკითხა კურკამ.

— შენა სავამე არ არს! — მკვანხელ მთუგო მაშომ და ტანის-მოსის გახდა დაწმუხა. სავალ მინდობდა, იქ ვიფივი. შენ ვინ გევიითხებო?

— ვა, რასა ჭვრობ! ისე გეითხე, რადა!

— ჭო და მეორედ აღარა მკითხო.

— კარგი, აღარ გეითხე. შენი ნება იყოს.

ამით გათვალა მათა ღამარაკი.

მეორე დღეს დარწომ უთხრა კურკას:

— ის თანხი გეჭირდება და ახალი მოძებნე სავამე. გე დუქანიც ხეიროს არ იძლევა და სხვას უნდა მივაქარავო. საში დღე გადა გაქვს და სხვაგან იშოვე დეილი.

კურკას თავზარი დაცდა, გაშრა, ზირში ენა ჩავარდა და ხმა ეუღარ ამოიღო.

ორი საათის შედეგ კურკა დარწომ დუქანში შევიდა.

— მაგ სავამეს რად მიშვრები, დარწომ? რა დავაშევი, რად მისმევი ღუგამ ზურს?

— ეგ შენ ცოლსა ჭკითხე. მე შენთან ღამარაკის თავი არა მავქვს.

კურკა კრკა ხანს იჯდა დარწომთან, მაგრამ ეუღარათერი უთხრა და კარედ გამოვიდა.

იმ დამეს დაღონებული კურკა გვიან მოვიდა სახელში.

— მაშა! იცი რა უნდა გითხრა... დარწომ მითხრა, თანხი დაცვლით... თანხი დაცვლით და დუქანით. საში დღე ვ და მოგვცა. რს იტყვი?

მაშო გულადმა იწვა ტანტზე და ტერს შესტქეროდა.

— რს იტყვი? გამოეთრა კურკამ.

მაშომ ჭერ ხმა არ გასცა, მეორე წმოდგა და უთხრა:

— მე ჩემ თავს თვითონ მოუღლი, შენც შენ თავს მოუარე. კურკამ გაკვირვებით გადახედა თავის ცოლს და მცირე სიხუმის შემდეგ მაშით ჭკითხა:

— როგორ მოუღლი? ერთი კარც გადაკეპინე... ზირდაზირ მითხრა.

— აღარ მინდა შენთან ცხვრება... არ შემადიარ... წავაღ

სადმე და, როგორც იქნება ვიცხოვრებ... ადარ მინდა შენთან ცხოვრება... გაიმეორა მამამ წყნარის ხმით და დაჯდა.

ათასში ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. კურკა გაუნძრევლად იჯდა და თვალებს ახამსებდა.

— მამა! — დაიწყო მან აკნაღებულის ხმით და ჯობიდან სპექტრული ხელსახოცი ამოიღო. — მაგას რას შერბობ... მაგას რად მიშერბობ... რა... რა დავაშავე... რა გაწვირე...

— არაფერიც არ დაგიშვებია, მაგრამ... არ მინდა შენთან ცხოვრება. იმრჩა და გათავდა!

მამა წამოხდდა და შეკრულ ბოხხას დაელო ხელი.

კურკა გვერდნაპირივით წამოხტა და ორივე ხელით დაებლაუჭა ბოხხას.

— მამა! შენი ჭირიშე... შენ გენაცვალე, მამაჯან! ნუ მიდისხარ... ნუ წახვალ... ნუ წახვალ... შენ გენაცვალე... შენა ჭირიშე... — ბურტუტებდა კურკა და ბოხხას წართმევას ღამობდა.

— ხელი გაუშე! — დაუვიწყარა მამამ და ბოხხას გამოსტყდა, მაგრამ კურკამ ხელმოკრულ ჩაყვლო ორივე ხელი ბოხხას და ზედ დაწვა.

— არ გაგიშვებ... არ გაგიშვებ... არ გაგიშვებ... — მტკივნეულ ხმით ჩურჩულებდა კურკა და შორთოვანურ ხელებით ებლაუჭებოდა ბოხხას. მამა კაბრახდა.

— ხელი გაუშე, მეთქი! — დაუვიწყარა მან და ხელი ჰკრა კურკას, რომელიც ბარბანტით უკან-უკან წავიდა და ტისტზე დაეცა. მამამ სიძლიერად გადახედა წაქრულ კურკას და ბოღნა იღლიას ქვეშ ამოიღო. კურკა არ წამოხდებოდა, თვალებზე ხელები მიიფარა და ჩუმი ხმით ტირილი დაიწყო.

— ადუ-უ-უ! ნეტე არ მიკბინია! — გააჯანჯარა მამამ და წასასვლელად მიემზადა.

კურკა წამოხტა, მუხლებზე დაეცა და ორივე ხელით მამას თვალებზე შეიმოხებია.

— აბა, ვინახოთ, თუ წახვალ... აბა, ვინახოთ... წადი...

— ხელი გამიშვი! ხელი გამიშვი, თორემ წავიქნებო.

— არ გაგიშვებ... არ გაგიშვებ... ვერსადღაც ვერ წახვალ... აბა, წადი... წადი. თუ ქალი ხარ...

— ხელა გამიშვი, მეთქი, თორემ...

მამამ ბოხხას ხელი გაუშვა და ორივე ხელით კურკას თმებში ეცა.

— თმა... თმას ხელი გაუშვი! — წამოტყნებდა კურკა და ზარკისად ეკრიწიალებოდა მამას თვალებს.

მამა შეტორტმანდა და კურკას ზედ დაეცა.

— გამიშვი... გამიშვი... გამიშვი... — ბურტუტებდა მამა და გამწარებულად ორივე ხელით თავში და შირისხეში სრეშდა კურკას, მაგრამ კურკა არაფერს იმჩინებდა და მკერდის ქვიშას მამას თვალებში უტეხდა მამამ ცემის თავა დასაბნება და დასისხლიანებულ კურკას უკლში წაუტინა ორივე ხელით. ორივენი გაშეშდნენ. კურკას შირისხეზე ძარღვები დაეჭიმა, თვალები აქმიდგინა და სრიალი დაიწყო. უნდა ორივემ ერთმანეთს ხელები გაუშვას. კურკა შირტვე დაეცა იატაკზე და ხმა მადლა დაიწყო ტირილი.

— სად მიხვალ, მამაჯან-ან... შენი ჭირიშე, მამაჯან-ან... ნუ მინებებ თავს-ან... მამა ხმის არ იღებდა და გაწვილ თმას ისწორებდა. კაბა დახეული ჰქონდა და წინდები უჩნდა, მაგრამ ის აღარაფერს არ აქცევდა ეგრადღებს და სხაქარად წასასვლელად ემზადებოდა.

— ნუ მინებებ თავს, მამაჯან-ან... შენი ჭირიშე, მამაჯან-ან... — გაქვილია კურკა და დასისხლიანებულ შირისხეს შირტვე სკლასხრივით იწმინდებდა.

მამამ სწრაფად დაელო ხელი ბოხხას და კარებისკენ გაიქცა. კურკა თვალის დასმისთვისე წამოხტა და გამოაქვინა, მაგრამ მამამ კარედ გასვლა მოაწრო და კარედან კარები გადაუგიატა. კურკა ორივე ხელით ეცა კარებს, მაგრამ ვერ გასდო.

— გამიღე-ე-ე! კარები გამიღეთ, ვინა ხართ ქრისტიანი-ი-ი! — ტირილით უვიროდა კურკა, მაგრამ კარის გამიღები არავინ იყო. გაბრაზებულმა კურკამ, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, შეუტეხი დაუშინა კარებს. ცოტა ხნას შემდეგ კარები უიღო და დარჩა შეშლილი.

— რა ამბავია? რამე გაგაგია, შე მასხარავ, შენ! — დაიდრიალა დარჩილ და ხელი ჰკრა კურკას. კურკა წაბრტმანდა, გახედა და ცოტა ხნის თითქმის გაგონებებით უფერებდა დარჩილ. მერე თანდათან დასისხლიანებულ შირისხეს დაეღმავა, ტისტზე წამოხდდა, გული აუფერდა და ნაწევრ ბეჭედივით ტირილი დაიწყო.

ერთი თვის შემდეგ დაფუთილი, ფეხშაშველა, უჭრად და უფარჯინზე დაბეჭენილი კურკა ბახარში დადიოდა და გამეფულ-გამომეფულად ეხევიებოდა:

— მოწყადება მოიღეთ... შეგეწიით წმინდა გიორგი და დღეთსმომბული მარამი... მოწყადება მოიღეთ... სავი დღეა ბუჩი არ მიტყმია... მოწყადება მოიღეთ...

ხანგამოშვებით რომელიმე ბახარის ბიჭი მიეპარება ხელმე კურკას, წასწვლავ ფეხში და ძაღვივით დაჭეფავს. კურკა ჯერ სავნლად დაიდრიალებს, მერე ფარჯინს გაუშვებს ხელს, გაგონებებს მიწაზე და ხელებსა და ფეხების ქნევით უვიროს:


— კარა-უ-უ! გორდოვო-ო-ო! მიშედე-ე-ე-ე... მომედე-ეს... კარა-უ-უ-უ... შედექნები კურკას უვიროლზე კარვთ გამიღადან და სიცილით იხარებთან. კურკა კი ფრეშების წმინდით ადგამას ღამბას და თან წაწუნებს:

— კაცო, ვინა ხართ ქრისტიანი! რატომ თავს არ დამინებებო! რა გინდათ ჩემთან? რა დავაშავეთ შე უბედურმა?

მდე ეგვლანი იგაწვიბენ კურკას ჩივილს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ შთვლ ბახარში ისევე ისმას იმას ხრამწიანი უვიროლი:

— კარა უ-უ!.. კარადავო-ო-ი... მიშედე-ე-ე-ე... მომედე-ეს... კარადავო-ო-ი... მ. აღამეშვადი.

რედაქტორი ფ. გოგინიშვილი
გამომცემელი თ. დი პავლე ი. თუმანიშვილი.



გოგინიშვილი ნამდვილი

„მოღობრისი“ მ. პ. ლეშაძისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე ღღერში ძველს ბებერას ღმეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად, მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22437.

იყიდება ტფილისში — სააფთიაქო საქონლის კავკასიის საევიკრო ამხანაგობისა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.